



პილარ 3-ის წლიური ანგარიშგება 2020

შინაარსი

1. შესავალი.....	3 -
1.1 მენეჯმენტის განცხადება.....	3 -
1.2 ინფორმაციის გამჟავნება ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟავნების წესის მიხედვით.....	3 -
1.3 ძირითადი მაჩვენებლები.....	3 -
2. წილობრივი ფლობის სტრუქტურა და აქციონერები.....	7 -
2.1 ბანკის აქციონერები და ბენეფიციარები.....	7 -
2.2 აქციონერთა უფლებები.....	11 -
3. კორპორაციული მართვა.....	11 -
3.1 აქციონერთა საერთო კრება.....	12 -
3.2 სამეთვალყურეო საბჭო.....	14 -
3.3 დირექტორთა საბჭო/გენერალური დირექტორი.....	17 -
3.4 ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ.....	20 -
3.5. ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ.....	22 -
3.6. აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი.....	26 -
4. რისკის მართვა.....	28 -
4.1 ბანკის სტრატეგია.....	28 -
4.2 რისკზე პახუხისმგებელი პირები.....	28 -
4.3 მფლობელების ფუნქციები/პახუხისმგებლობები.....	29 -
4.4 მთავარი რისკები.....	32 -
5. რისკის დასაშვები ზღვრული ნორმა.....	40 -
5.1 დაინტერესებული მხარეები.....	40 -
5.2 რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	41 -
5.3 რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის გაცხადება.....	42 -
6. ანაზაურების საკითხები.....	47 -

1. შესავალი

1.1 მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის № 92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

1.2 ინფორმაციის გამჟავნება ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის მიხედვით

წინამდებარე ანგარიშგების მიზანია პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების უზრუნველყოფა სს კრედო ბანკის მიერ. აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება კაპიტალისა და ლიკვიდურობის გლობალური მარეგულირებელი ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც მიღებულია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ და ასევე ცნობილია ბაზელ 3-ის სახელით. ზემოაღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნები დადგენილია ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეგულაციით - (EU) N575/2013 „პრუდენციული მოთხოვნების შესახებ საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო ფირმებისთვის“. აღნიშნული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ბრძანება N92/04 „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის შესახებ“.

1.3 ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი 1 საზედამხედველო კაპიტალი (ლარი)

1	საზედამხედველო კაპიტალი (ლარი)	31.12.2020	31.12.2019
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1)	143,907,195	131,506,916
1.2	პირველადი კაპიტალი	143,907,195	131,506,916
1.3	სულ საზედამხედველო კაპიტალი	189,392,745	162,608,289

ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET 1) და პირველადი კაპიტალი 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 12.4 მილიონი ლარით გაიზარდა, რისი ძირითადი მიზეზიცაა წმინდა და შესაბამისად გაუნაწილებელი მოგების ზრდა თითქმის იგივე თანხით. რაც შეეხება საზედამხედველო კაპიტალს 2019 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 26.8 მილიონი ლარით, რაც ზემოაღნიშნული მოგების ზრდის გარდა, მეორადი კაპიტალის კომპონენტების ზრდის ხარჯზე მოხდა: კერძოდ 11.5 მლნ ლარის ოდენობით გაიზარდა სუბორდინირებული სესხების თანხა და ასევე გაიზარდა საზედამხედველო კაპიტალში ჩასართავი საერთო რეზერვების თანხა 2.9 მილიონი ლარით.

ცხრილი 2 კაპიტალის ადეკვატურობის (CAR) კოეფიციენტები

2	კაპიტალის ადეკვატურობის (CAR) კოეფიციენტები	ჯამური მოთხოვნა	31.12.2020	31.12.2019
2.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (მინ. მოთხ. 4.5%)	4.95%	11.52%	13.20%
2.2	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (მინ. მოთხ.6.00%)	6.61%	11.52%	13.20%
2.3	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (მინ. მოთხ.) 8.00%)	10.57%	15.16%	16.32%

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებმა როგორც 2019, ისე 2020 წლებში, მნიშვნელოვნად გადააჭარბა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მინიმალურ მოთხოვნებს. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებმა მცირედით კლება განიცადეს (13.2%-დან 11.5%-მდე პირველადი კაპიტალის კოეფიციენტმა და 16.32%-დან 15.16%-მდე საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტმა).

ამის გამომწვევი მიზეზები იყო მოგების ზრდის ტემპის შემცირება, ხოლო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დაახლოებით იგივე ტემპით ზრდა რაც 2018/2019 წლებში იყო.

მოგების შემცირებაზე თავის მხრივ დიდი ზეგავლენა მოახდინა, COVID-19-თან დაკავშირებით სეზონის რეკომენდაციის საფუძველზე დამატებითი საერთო რეზერვების ზრდამ, რამაც დამატებით თითქმის 9 მილიონი ლარით გაზარდა რეზერვის ხარჯი და იგივე თანხით შეამცირა მოგება-რის გამოც ეს უკანსკნელი 2020 წელს თითქმის 2-ჯერ ნაკლები გამოვიდა (13.9 მლნ ლარი) ვიდრე 2019 წელს (27.6 მლნ ლარი).

2017 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში (ბრძანება N100/04), რომლის თანახმადაც გადაიხედა კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის მაჩვენებლები და დაემატა პილარ 1-ის ბუფერები - კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები. სახელდობრ:

ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტებზე მინიმალური მოთხოვნა გადაიხედა და დაფიქსირდა 4.5%, 6% და 8% შესაბამისად.

კაპიტალის კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერები დადგენილია 2.5% და 0.0%-ზე (ამჟამად სს „კრედო“ ბანკისთვის კონსერვაციის ბუფერის 2.5%-იანი მოთხოვნა გაუქმებულია (გადავადებულია) ეროვნული ბანკის მიერ უვადოდ კოვიდ რეგულაციების გამო). კრედო ბანკისთვის სისტემური რისკის ბუფერიც ასევე დადგინდა 0.0%-ზე.

2017 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პილარ 1-თან ერთად დამატებით ასევე გამოაქვეყნა და დაამტკიცა პილარ 2-ის მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები მოიცავს კაპიტალის შემდეგ ბუფერებს: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი, წმინდა GRAPE ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი. აღნიშნული მოთხოვნებიდან 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში იყო CICR, წმინდა GRAPE და კონცენტრაციის ბუფერები.

2020 წლის 31 მარტს # 2-22/950 წერილით, ეროვნულმა ბანკმა შეამცირა კაპიტალის კონსერვაციის 2.5%-იანი მოთხოვნა უვადოდ. ასევე უვადოდ გადავადდა საკრედიტო რისკის კონცენტრაციის (HHI), წმინდა GRAPE ბუფერისა და სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მიმართ მოთხოვნების მანამდე დაგეგმილი ზრდა.

აღნიშნული გადავადებები ძალაში იყო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც, რამაც გამოიწვია კიდევ სეგ-ის მხრიდან კაპიტალის ადექვატურობის მინიმალური მოთხოვნების შემცირება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სს ბანკი „კრედო“ აკმაყოფილებს კაპიტალის ყველა მოთხოვნას და კაპიტალის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ მინიმუმს (იხ.ცხრილი 2).

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი პირველადი კაპიტალისა და პირველადი კაპიტალის მაჩვენებლები არის 11.52%, საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი კი - 15.16%, რეგულაციით მოთხოვნილი 4.95%, 6.61% და 10.57%-ის ნაცვლად.

ცხრილი 3 რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (RWA)

3	RWA (ლარში)	31.12.2020	31.12.2019
3.1	საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	996,989,379	765,231,485
3.2	საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,286,239	5,598,939
3.3	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	250,750,724	225,728,198
3.4	სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,249,026,342	996,558,621

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების საერთო მოცულობა 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 25.4%-ით, ხოლო აბსოლუტური მოცულობით კი 253 მლნ ლარით. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იქნა საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ზრდით. ეს უკანასკნელი წინა წელთან შედარებით 231.8 მლნ ლარით გაიზარდა რაც განპირობებული იყო ორი ფაქტორით:

ა) საკრედიტო პორტფელის ზრდით (220 მლნ ლარი) და

ბ) სებ-ის საცალო დაკრედიტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად იმ რისკის პოზიციების უფრო მაღალ წონაში შეწონვით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის სებ-ის მიერვე დადგენილ მინიმალურ ოდენობებს.

რაც შეეხება საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციებს, მათი მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირდა, ხოლო საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები კი გაიზარდა, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში ცვლილება შედარებით მოკრძალებული იყო.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა იქონია არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR), გადატანამ საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებიდან, პილარ 2-ის შესაბამისი ბუფერის მოთხოვნებში, რისი საფუძველიც იყო ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებები და დამატებები კაპიტალის ადეკვატურობის(# 100/04) დებულებაში.

კრედიტო ბანკი იყენებს ისეთი სშგი-ების გრძელვადიან საკრედიტო შეფასებებს, როგორცაა : S&P, MOODYs და FITCH. ზემოთხსენებული სშგი-ები აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს შეფასებები ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი კომერციული ბანკების შეფასებისთვის, რადგან „კრედოს“ საკრედიტო რისკის პოზიციები უცხოურ ბანკებთან მცირე ოდენობისაა და საკორესპონდენტო ნოსტრო ანგარიშების ნაშთით შემოიფარგლება, გარდა ნიდერლანდების საერთაშორისო განვითარების ბანკის (FMO)-ს მიმართ სავალო ფასიანი ქაღალდის სახით არსებული რისკის პოზიციისა, რომელიც 0%-იანი რისკით იწონება, როგორც უმაღლესი საკრედიტო რეიტინგის (AAA) მქონე კონტრაგენტის მიმართ არსებული პოზიცია.

ცხრილი 4 ლიკვიდობის კოეფიციენტები

4	ლიკვიდობის კოეფიციენტები	31.12.2020	31.12.2019
4.1	ლიკვიდური აქტივები/სულ აქტივები	18.80%	12.54%
4.2	ლიკვიდობის გადაფარვის კოეფ10D8ციენტი (მინ. მოთხ 100%)	506.31%	373.21%

2019 და 2020 წელს ლიკვიდური აქტივები შეადგენს ბანკის საერთო აქტივების 12.54%-ს და 18.80%-ს შესაბამისად. კრედიტო ბანკი აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნას „საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტთან“ მიმართებაში და ის მნიშვნელოვნად აღემატება 30%-იან

მინიმალურ ოდენობას. რაც შეეხება LCR-ს („ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი“), იგი ბანკებისთვის სავალდებულო გახდა 2017 წლის სექტემბრიდან. 2020 წლის დეკემბრის ბოლოსთვის, LCR შეადგენდა 506.31%-ს, რაც 5-ჯერ აჭარბებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ LCR-ის მინიმალურ მოთხოვნას.

ცხრილი 5 პორტფელის ხარისხი

5	ლიკვიდურობის კოეფიციენტები	31.12.2020	31.12.2019
5.1	პრობლემური სესხები / სულ სესხები	1.83%	1.07%
5.2	LLR/სულ სესხები	3.61%	2.74%

კრედიტ ბანკი ინარჩუნებს პორტფელის მაღალ ხარისხს, მისი გრანულირებულობისა და დივერსიფიცირებულობის (სექტორულ და გეოგრაფიულ ჭრილში) გამო. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს უმოქმედო სესხების წილი, საერთო სასესხო პორტფელში შედარებით გაიზარდა. ასევე გაიზარდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხვედრითი წილი საერთო სასესხო პორტფელთან მიმართებაში და შეადგინა 3.61%, რაც COVID-19-ის გამო რესტრუქტურიზებული სესხების და შესაბამისად რეზერვების თანხების ზრდით აიხსნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, „კრედოს“ ეს მაჩვენებელი საბანკო სექტორში არსებული შესაბამისი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობაზე (6.37%) თითქმის 2-ჯერ ნაკლებია.

2. წილობრივი ფლობის სტრუქტურა და აქციონერები

2.1 ბანკის აქციონერები და ბენეფიციარები

დაფუძნდა რა World Vision-ის მიერ ფონდის სახით 1997 წელს და გარდაიქმნა რა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად სახელწოდებით „კრედო“ (შემდგომში „კრედო“) 2005 წელს - მისი „კრედო“ შექმნილი იქნა უცხოელი ინვესტორების კონსორციუმის მიერ, რომელთა წილები სააქციო კაპიტალში მოცემულია ქვევით წილობრივი მფლობელობის სტრუქტურის ამსახველ #6 ცხრილში. ძირითად აქციონერს წარმოადგენს Access Holding (AH)-ი, რომელიც დაფუძნებულია გერმანიაში.

2017 წლის მარტში კრედომ მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან (NBG).

ცხრილი 6. წილობრივი ფლობის მიმდინარე სტრუქტურა 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით

აქციონერი	მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა, კლასი და დენომინაცია (კუპიურა)	წილი სააქციო კაპიტალში
Access Microfinance Holding AG ბერლინი, გერმანია	264,880 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	60,2%

Legal Owner Triodos Funds B.V. ნიდერლანდები, ზეისტი	43,560 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	9,9%
Triodos SICAV II-Tríodos Microfinance Fund ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ლუქსემბურგი	43,560 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	9,9%
ResponsAbility Participations AG შვეიცარია, ციურიხი	41,096 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	9,34%
ResponsAbility SICAV (Lux) (Micro and SME Finance Leaders) ლუქსემბურგის საჰერცოგო, ლუქსემბურგი	8,228 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	1,87%
responsAbility Global Micro and SME Finance Fund ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ლუქსემბურგი	38,676 ჩვეულებრივი აქციები, თითოეული 10 ლარის ღირებულების	8,79%

- ბერლინში დაფუძნებული საინვესტიციო კომპანია **Access Microfinance Holding AG (“AccessHolding”)**, წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოს კერძო წილობრივი მონაწილეობით, რომელიც დაფუძნდა 2006 წელს, განვითარებად და განვითარების გარდამავალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში დამწყები და განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფ მიკროსაფინანსო დაწესებულებებში კაპიტალის ჩადების მიზნით. AccessBanks-ის საქმიანობა ფოკუსირებულია ისეთ მიზნობრივ ჯგუფზე, როგორცაა მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობა. ჰოლდინგის ქსელში დასაქმებულია 7000-ზე მეტი ადამიანი. მის მართვაშია 1.4 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი სასესხო პორტფელი და მომხმარებლების ნახევარ მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დეპოზიტები.


დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.accessholding.com

- **responsAbility Investments AG** აქტივების მართვის დარგში მსოფლიოს წამყვანი დამოუკიდებელი მენეჯმენტის ჯგუფია, რომელთა სპეციალიზაციის სფერო განვითარებადი ეკონომიკის სექტორების ხელშეწყობაა. მათი საქმიანობა ისეთ დარგებს მოიცავს, როგორებიცაა ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, ჯანდაცვა და განათლება. responsAbility უზრუნველყოფს ბირჟაზე დაურეგისტრირებელი ისეთი კომპანიების ფინანსირებას, რომელთა ბიზნესმოდელი მოსახლეობის დაბალშემოსავლიან კატეგორიაზეა ორიენტირებული, რითაც სტიმულირდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და სოციალური განვითარება. 2003 წელს დაარსებული responsAbility, ამჟამად მართავს ორ მილიარდ აშშ დოლარზე მეტ აქტივებს, რომლებიც 90 ქვეყნის 500 კომპანიაშია

ინვესტირებული. სათაო ოფისი ციურხში მდებარეობს, ხოლო მისი რეგიონალური წარმომადგენლობები - პარიზში, ლიმაში, მუმბაისა და ნაირობიში. responsAbility-ის აქციონერები შვეიცარიის ფინანსურ ბაზარზე მოქმედი, საიმედო რეპუტაციის მქონე მრავალი ორგანიზაცია და ასევე, საკუთარი თანამშრომლები არიან. ჯგუფი რეგისტრირებულია შვეიცარიის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის ორგანოში (FINMA). დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.responsability.com/en>.

- **Triodos Investment Management** მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი, Triodos Bank-ის საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიაა. Triodos Investment Management საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კომპანიაა, რომლის საქმიანობის სფეროებია ინვესტიციების და საინვესტიციო ფონდების მართვა ისეთ დარგებში, როგორცაა განახლებადი ენერჯეტიკა, მდგრადი უძრავი ქონება და განვითარებადი ბაზრების დონორული ფინანსირება. 2013 წლის ბოლოდან კომპანიის კომბინირებული აქტივები 2,5 მილიარდ ევროს შეადგენს. 1994 წლიდან, დონორულ ფინანსირებაში ჩადებულმა აქტივებმა 550 მლნ ევროს გადააჭარბა. მოცემული მაჩვენებელი მას ინდუსტრიაში უმსხვილეს ინვესტორად აქცევს. სპეციალიზირებული ფონდების მეშვეობით, Triodos Investment Management უზრუნველყოფს ფინანსირებას 44 ქვეყნის 112-მდე დამწყებ და ფუნქციონირებად საფინანსო ორგანიზაციებისთვის. კომპანია 22 საფინანსო ორგანიზაციის აქციების მფლობელია. დამატებითი დეტალები იხილეთ ვებგვერდზე: www.triodos.com

ბლოკ-სქემა 1 - ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, სადაც მითითებულია 5% ან მეტი აქციის პირდაპირი ან ირიბი მფლობელის დასახელება:



- CDC Group plc (CDC) 11.82% - დიდი ბრიტანეთის განვითარების ფინანსური ინსტიტუტი რომელსაც ფლობს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი და მდებარეობს ლონდონში;
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) 11.82% - ევროკავშირის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობს ლუქსემბურგში;
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 14.88% - მსოფლიო ბანკის ჯგუფის კერძო სექტორული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ვაშინგტონში D.C აშშ;
- KfW განვითარების ბანკი (KfW) 12.71% - გერმანიის განვითარების ბანკი, რომელიც დაფუძნებულია ფრანკფურტში/მაინი;
- LFS Financial Systems GmbH (LFS) 23.77% - რომელმაც დააფუძნა AccessHolding-ი 2006 წლის აგვისტოში და რომელიც ასევე წარმოადგენს ამ კომპანიის, ასევე სხვა საინვესტიციო კომპანიების ტექნიკურ პარტნიორსა და მენეჯერს. LFS წარმოადგენს საკონსულტაციო და მენეჯმენტის ფირმას, რომელიც დაფუძნებულია ბერლინში და სპეციალიზირებულია საბანკო და ფინანსური სექტორების პროექტებში, განვითარებად და გარდამავალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან მიკრო, მცირე და საშუალო ზომის სწარმოების (MSME) დაფინანსებაზე.
- ბერნ ზათლერი 8.59% - აქსესჰოლდინგის გენერალური დირექტორი. 1994 წელს, დააარსა საკონსულტაციო კომპანია LFS Advisory GmbH, რომელიც, თავის მხრივ, არის აქსესჰოლდინგის დამფუძნებელი და ერთ-ერთი მეწილე.
- Omidyar-Tufts Microfinance Fund (OTMF) 11.21% - მიკროსაფინანსო საინვესტიციო ფონდი, რომელიც დაფუძნებულია Pierre და Pam Omidyar-ის მიერ და რომელსაც მართავს ტაფტის უნივერსიტეტი ბოსტონში.

- MultiConcept Fund Management S.A. 5.83% - მდებარეობს ლუქსემბურგში და მოღვაწეობს ResponsAbility Global Micro and SME Finance Fund-ის სახელით.
-

2.2 აქციონერთა უფლებები

ბანკის აქციონერებს უფლება აქვთ:

- დაესწრონ ან წარმოდგენილნი იყვნენ აქციონერთა საერთო კრებაზე და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელების შემთხვევაში);
- მიიღონ ინფორმაცია ბანკის საქმიანობის შესახებ, შეამოწმონ მისი ანგარიშები, ჩანაწერები და სხვა დოკუმენტაცია (შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო დებულებების თანახმად);
- მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;
- განკარგონ საკუთარი აქციები (სააქციონერო ხელშეკრულებაში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით);
- ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიიღონ იმ ქონების წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ მათი წილის პროპორციულად;
- აქციების საერთო რაოდენობის 5% (ხუთი პროცენტის) მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე. ასეთი მოთხოვნა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეუდგეს შესაბამის გამოკვლევას;
- აქციების საერთო რაოდენობის 5% (ხუთი პროცენტის) მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა;
- შეასრულონ ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები.

3. კორპორაციული მართვა

მართვა განიხილება როგორც უფლებებისა და ვალდებულებების განაწილება კომპანიის აქციონერებს შორის. კრედოს კორპორაციული მართვის სტრუქტურის შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ყველა დონეზე და წარმომადგენლების (დირექტორების, ოფიცრების) წახალისება იმისათვის, რომ იმოქმედონ საკუთარი საქმიანობისა და აქციონერების მიზნების შესაბამისად.

მართვის სტრუქტურა შემუშავებულ იქნა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა (SB) და დირექტორთა საბჭოს (MB) ფუნქციების მკაფიო გამოიჯვანა, რაც სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს კრედოს კომერციული პოლიტიკების განსაზღვრის და მმართველობის ზედამხედველობის (გადაწყვეტილების კონტროლის) ფუნქციას, ხოლო

დირექტორთა საბჭოს კი - ოპერაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას (გადაწყვეტილებების მენეჯმენტი). განსაკუთრებული ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს ძლიერი და დამოუკიდებელი სამეთვალყურეო და აუდიტის სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე, ასევე შედეგიდან მიღებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის დადგენასა და ლოკალიზებაზე.

საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, მართვის სტრუქტურა შედგება შემდეგი ორგანოებისგან, რომლებსაც საკუთარი ამოცანები და ფუნქციები გააჩნია:

აქციონერთა საერთო კრება - ბანკის მართვის უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება;
სამეთვალყურეო საბჭო - ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება;

დირექტორთა საბჭოს - ბანკის ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი და ადმინისტრირება ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი;

აუდიტის კომიტეტი - ბანკის აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტსა და გარე აუდიტორებს.

3.1 აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება ატარებს ორი ტიპის კრებას: აქციონერთა წლიური საერთო კრებას და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევა:

- აქციონერთა წლიური საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, ბანკის საბუღალტრო დოკუმენტაციის წლიური გარე აუდიტის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა და წინა ეკონომიკური წელიწადის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა;
- აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება დროდადრო მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს მიერ, ან იმ აქციონერის (აქციონერების) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც (რომლებიც) ბანკის აქციების სულ მცირე 5% (ხუთ პროცენტს) ფლობს (ფლობენ).
- აქციონერთა საერთო კრების დრო, ადგილი და დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდურ მედიაში და დაეზავნოს აქციონერებს სულ მცირე 20 დღით ადრე აქციონერთა საერთო კრების თარიღამდე. ბანკის აქციათა სულ მცირე 1%-ის (ერთი პროცენტი) მფლობელებს უნდა ეცნობოთ საერთო კრების შესახებ დაზღვეული ფოსტით;

- ბანკის რიგგარეშე კრება მოწვეულ უნდა იქნას შეტყობინების გაგზავნიდან დაუყოვნებლივ, თუ ბანკის ინტერესები ამას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს სულ მცირე 5 დღით ადრე, თუ არცერთი აქციონერი არ შეეწინააღმდეგება ასეთ პროცედურებს კრების მოწვევის დროისათვის.
- სამეთვალყურეო საბჭო ადგენს აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით;
- აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია და ქვორუმი შემდგარია, თუ კრებას ესწრება არანაკლებ 70% (სამოცდაათი პროცენტი) აქციების მფლობელი აქციონერ(ებ)ი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ შედგა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმავე დღის წესრიგით და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება მოქმედი კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად. აქციონერთა ახალი კრება შემდგარია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია არანაკლებ - 50% (ორმოცდაათი პროცენტი) + 1 აქცია - აქციების მფლობელი აქციონერ(ებ)ი. თუ აქციონერთა საერთო კრება კვლავაც არ შედგა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმავე დღის წესრიგით და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება მოქმედი კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად. აქციონერთა ასეთი საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან მათი წარმომადგენლების) რაოდენობის მიუხედავად;
- აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მათი არყოფნისას - გენერალური დირექტორი.
- კრების შესახებ ოქმი უნდა შედგეს აქციონერთა საერთო კრების მდივნის მიერ ინგლისურ და ქართულ ენებზე და დამოწმდეს სანოტარო წესით. ოქმი ხელმისაწვდომი უნდა იყოს თითოეული აქციონერის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრისთვის.

წარმომადგენლობა აქციონერთა საერთო კრებაზე:

- აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღისათვის აქციონერთა რეესტრში რეგისტრირებული ყველა აქციონერი უფლებამოსილია დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;
- აქციონერი უფლებამოსილია გადასცეს თავისი უფლებები სხვა აქციონერს, ან ასევე სხვა მესამე მხარეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერის წარმომადგენელი პირი ვერ წარმოადგენს ამგვარ მინდობილობას, მას ჩამოერთმევა კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება. აქციონერთა საერთო კრებაზე წარმომადგენლობის უფლება შეიძლება გაიცეს სხვა ფორმითაც, თუ ეს არ იკრძალება მოქმედი კანონმდებლობით.

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება:

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრება განიხილავს და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს ხმების იმ რაოდენობით, რაც ქვემოთ პუნქტებშია მითითებული:

- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- საქმიანობის შეცვლა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- აქციათა რიცხვის გაზრდა ან შემცირება, აქციათა კლასის შეცვლა, ოფციათა მინიჭება (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- აქციათა გადაცემაზე შეზღუდვების დაწესება (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- ბანკის რაიმე სახის რეორგანიზაცია, მათ შორის ტრანსფორმაცია, კონსოლიდაცია, შერწყმა ან ბანკის ლიკვიდაცია (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- ნებისმიერი შერწყმის ან დაუფლების დამტკიცება (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- სხვა კომპანიების შეძენა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- ბანკის დაშლის შემდეგ ლიკვიდატორების დამტკიცება, გარდა გადახდისუუნარობის შემთხვევისა (მესაკუთრეთა ხმების 75%).
- დივიდენდების გადახდა და სხვა დივიდენდებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- გარე აუდიტორების შერჩევა და შეცვლა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცება (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და დათხოვნა (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- აქციების შეთავაზების ფასის/განთავსების ღირებულების განსაზღვრა ახლად გაცემულ აქციებთან მიმართებაში (მესაკუთრეთა ხმების 75%);
- მონათესავე საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან დასადები ხელშეკრულებების ან გარიგებების დამტკიცება იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხელშეკრულებები ან გარიგებები მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აქციონერთა საერთო კრებაზე დამტკიცებას, მუხლი „სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები“-ის მე-10 ქვე-პუნქტის შესაბამისად (მესაკუთრეთა ხმების 75%).

ხმების რაოდენობა განისაზღვრება აქციონერების ხმების შესაბამისად.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭო ან/და დირექტორთა საბჭო ან/და გენერალური დირექტორი მათი უფლებამოსილების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 5 (ხუთი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა/გადაყენება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ ეს სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული აქციონერთა საერთო კრების მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა ოთხწლიანი პერიოდით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლებელია არ იყვნენ ბანკის თანამშრომლები.

ფიზიკურ პირს არ შეუძლია იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და/ან იგი შეიძლება დათხოვნილ იქნას სამეთვალყურეო საბჭოდან, თუ იგი არ ემორჩილება ბანკის ადმინისტრატორის კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილე) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და ადგენს დღის წესრიგს. ნემისმიერ წევრს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები დღის წესრიგში ან მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს კრების მოწვევა.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, ბანკის მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილობით, შესაბამის დღის წესრიგთან ერთად სხდომის მოწვევის სავარაუდო თარიღამდე სულ მცირე რვა დღით ადრე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ საბჭოს სხვა წევრების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი სხვა წევრით. საკითხები, რომლებიც საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, შეიძლება მიღებულ იქნას წერილობითი გადაწყვეტილების დაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის ყველა წევრის მიერ მისი მიღების და თავმჯდომარის (მისი არყოფნისას, თავმჯდომარის მოადგილეს) ხელმოწერის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთვის საჭიროა მისი სანოტარო წესით დამოწმება.

სამეთვალყურეო საბჭო შემდგარად ითვლება ან მას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია სულ მცირე სამი წევრი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, თავმჯდომარეს (თავმჯდომარის არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილეს) შეუძლია, სამი სამუშაო დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა. ახალი სხდომა უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე ორი წევრი. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებისუნარიანი, მაშინ თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე) იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა.

კრების ოქმი და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და კორპორატიული მდივნის მიერ უნდა შედგეს ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე. კრების ოქმები ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს და მტკიცდება მას შემდეგ, რაც (ი) წერილობით დაეთანხმება ყველა წევრი ან (იი) დამტკიცდება შესაბამის კრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს უბრალო უმრავლესობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომიტეტების შექმნასთან დაკავშირებით. ასეთი კომიტეტების შემადგენლობა და მათი ამოცანები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კომიტეტები ვალდებული არიან საკუთარი დასკვნები და გადაწყვეტილებები გააცნონ სამეთვალყურეო საბჭოს.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს კრებაზე დამსწრე/კრების მონაწილე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები:

1. გენერალური დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და თანამდებობიდან გადაყენება, მათთან შრომითი კონტრაქტების გაფორმება და შეწყვეტა;
2. ბანკის დირექტორთა საბჭოს დებულების დამტკიცება/შეცვლა;
3. აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენი გადაწყვეტილებების თაობაზე წინასწარი რეკომენდაციების გაცემა;
4. ბიზნესის სტრატეგიის საერთო პრინციპების და ბანკის ბიზნეს გეგმის განსაზღვრა და წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
5. უძრავი ქონების და მასთან დაკავშირებული საკუთრების უფლებების შექმნა, გადაცემა და უფლებრივად დატვირთვა, თუ ასეთი ოპერაციები სცილდება ბანკის ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი ოპერაციების მოცულობა აჭარბებს 10 000 000 (ათი მილიონი) აშშ დოლარს;
6. ფინანსური სახსრების მოზიდვა თუ ეს სცილდება ბანკის ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი სესხის მოცულობა აჭარბებს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარს;
7. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
8. აქციონერთა წლიური საერთო კრების და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, თუ ეს აუცილებელია ბანკის სასარგებლოდ;
9. მოწვეული აუდიტორებისათვის გადასახდელი ანაზღაურებისა და კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;
10. მონათესავე საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან გარიგებების დამტკიცება. ამ წესიდან გამონაკლისის სახით, ასეთი ხელშეკრულებები და ტრანზაქციები

- დაექვემდებარება აქციონერთა საერთო კრების (და არა სამეთვალყურეო საბჭოს) მიერ დამტკიცებას თუ სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე ორი წევრი მაინც მოითხოვს ამას;
11. დირექტორთა საბჭოში შემავალი პირების გადაწყვეტილებების დამტკიცება, მათ შორის მათი დანიშვნისა და ანაზღაურების, ასევე კონტრაქტის იმ პირობების დამტკიცება, რომლებიც შეიძლება მათ სამუშაო ამოცანებზეც მიუთითებდნენ;
 12. ბანკის მმართველი გუნდის საქმიანობის კვარტალური მიმოხილვა და შეფასება ძირითად სამუშაო და საფინანსო ამოცანებთან მიმართებაში;
 13. დირექტორთა საბჭოს შეთავაზებების დამტკიცება, რომელიც სავარაუდოდ გაზრდის საოპერაციო ხარჯების ბიუჯეტს ოც პროცენტზე მეტით (20%);
 14. ბანკის პროდუქტის ფასის პარამეტრებში ცვლილებების დამტკიცება, თუ ეს მნიშვნელოვნად ცვლის წლიური ბიუჯეტის პროდუქტის პირობებს;
 15. ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შექმნა და ლიკვიდაცია და ფილიალების მმართველების დანიშვნა-განთავისუფლება, გარდა სერვის-ცენტრების ხელმძღვანელებისა/მმართველებისა, რომლებიც ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება დირექტორთა საბჭოს მიერ;
 16. შიდა ძირითადი პოლიტიკების დადგენა და დამტკიცება, რომლებიც შეეხება ფულის გასესხებას, ინვესტირებას, უცხოური ვალურის გაცვლას, აქტივებისა და ვალდებულებების მართვას, მათ კლასიფიკაციას და ადეკვატურ უზრუნველყოფას, ასევე სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა და დამტკიცება;
 17. ახალი საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) წამოწყება ან არსებული საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) შეწყვეტა ან შეჩერება;

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული ჩანაწერები და ქონება, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, პირადად, ან მისი წევრების ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით შეამოწმოს ბანკის ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების და საქონლის მდგომარეობა.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს დირექტორთა საბჭოსგან მოითხოვოს ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშები (მათ შორის გარიგებები შესაბამის კონტრაქტორებთან) და განიხილოს შიდა ან გარე აუდიტის შედეგად მოწოდებული ინფორმაცია.

სამეთვალყურეო საბჭოს გარკვეული პასუხისმგებლობები შეიძლება გადაეცეს დირექტორთა საბჭოს კანონით დაშვებულ ფარგლებში. დაუშვებელია დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობების სამეთვალყურეო საბჭოსთვის დელეგირება.

3.3 დირექტორთა საბჭო/გენერალური დირექტორი

დირექტორთა საბჭო:

- ბანკის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი;

- დირექტორთა საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს. დირექტორთა საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს წევრების წარდგენისა და არჩევის წესი დგინდება წინამდებარე წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- დაუშვებელია დირექტორთა საბჭოს წევრად იმ პირის დანიშვნა, ან თუ უკვე დანიშნულია, ასეთი პირი უნდა განთავისუფლდეს, თუ იგი: არ შეესაბამება ბანკის მენეჯმენტისთვის/ადმინისტრატორებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

დირექტორთა საბჭომ უნდა:

- წარმართოს და განახორციელოს ბანკის მიმდინარე საქმიანობა;
- წინასწარ განიხილოს ბანკის აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოამზადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;
- ფინანსური წლის დასრულებისას მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მომავალი წლის ბიზნეს გეგმა, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე ბანკის საინვესტიციო გეგმას;
- მეთვალყურეობა გაუწიოს ბანკის მიერ ისეთი პროცედურების შესრულებას, როგორცაა გასესხება, ანგარიშსწორება, დაფინანსება, ნაღდ ფულთან დაკავშირებული მომსახურება, გარანტია, ბანკის ნაღდი ფულისა და ფასეულობების ანგარიშგება და ანგარიშების შედგენა, შიდა კონტროლი და ბანკის ყველა ძირითადი საქმიანობის ზედამხედველობა;
- მეთვალყურეობა გაუწიოს ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირებას და უზრუნველყოს ყველა მმართველის მიერ საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულება;
- განიხილოს გარე და შიდა აუდიტის შედეგად მოწოდებული ინფორმაცია, ფილიალების მმართველების და სერვის ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულება;
- შეიმუშაოს ბანკის პოლიტიკები, წესები, შინაგანაწესი და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი და წარუდგინოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად და უზრუნველყოს პოლიტიკების, შინაგანაწესის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის პირობების დაცვა;
- მიიღოს გადაწყვეტილებები პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების, და ანაზღაურების საკითხებზე წესდებაში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით;
- გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ან მისი ცალკეული წევრების მიერ) და/ან აქციონერთა საერთო კრების მიერ და დაიცვას წესდებითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

გენერალური დირექტორი:

- დირექტორთა საბჭოს საქმიანობას უძღვება გენერალური დირექტორი. ამ მიზნებისთვის გენერალური დირექტორი ახდენს ამოცანების დელეგირებას დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის;
- გენერალური დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკის სახელით მინდობილობის გარეშე. გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი მოქმედებს ბანკის სახელით, გენერალური დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე;

გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- თავმჯდომარეობა გაუწიოს დირექტორთა საბჭოს კრებებს, მეთვალყურეობა გაუწიოს დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, ორგანიზება გაუკეთოს დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის და ბანკის სხვა მმართველებისთვის გადაცემულ ამოცანებს, გასცეს შესაბამისი ბრძანებები, მითითებები და ამ მიმართულების სხვა დირექტივები;
- იმოქმედოს დამოუკიდებლად ბანკის სახელით, წესდების შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე;
- სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს (სადაც ეს შესაძლებელია) რეკომენდაციები ბანკის დირექტორთა საბჭოს ანაზღაურებასთან და ბონუსებთან დაკავშირებით;
- დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები პერსონალის აყვანის გეგმის შესაბამისად;
- აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, აუცილებელი ბანკის მიზნებისათვის, გარდა აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა;
- უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება.

გენერალურ დირექტორს უფლება აქვს:

- სამეთვალყურეო საბჭოს და/ან აქციონერების ნებისმიერ შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გააფორმოს კონტრაქტები;
- ბანკის მუშაკებთან მიმართებაში, გამოიყენოს პრემიებით წახალისება და დააკისროს ჯარიმები წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად;
- მოამზადოს ყველა აუცილებელი მასალა/მოხსენება და წარუდგინოს ის აქციონერთა საერთო კრებას და სამეთვალყურეო საბჭოს;
- ბანკის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მოახდინოს მისი უშუალო მოვალეობების დელეგირება დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის;

3.4 ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შესახებ

სახელი, გვარი	თანამდებობა	წევრია -დან	ინფორმაცია
თომას ენგელჰარდტი	თავმჯდომარე	2015	<p>ბ-ნი ენგელჰარდტი არის LFS-ის თანამფლობელი 1996 წლიდან. იგი აქსესჰოლდინგის მენეჯმენტს შეუერთდა 2006 წელს და დღესდღეობით, კომპანიაში უკავია ბიზნეს დირექტორის პოზიცია. პარალელურად, იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას აქსესჰოლდინგის ორ ბანკში, ტანზანიასა და ზამბიაში - „Access Microfinancebank Tanzania ” და “ AB Bank Zambia ”.</p> <p>ბ-ნი ენგელჰარდტი არის ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი. საუბრობს გერმანულად, რუსულად, ინგლისურად და სერბულ-ხორვატიულად.</p>
ფრანცისკუს ბერნარდუს მარტინუს სტრეპელი	თავმჯდომარის მოადგილე	2014	<p>ბ-ნი სტრეპელი საბანკო კარიერა 1992 წელს დაიწყო ერთ-ერთ ნიდერლანდურ ბანკ ABN AMRO-ში. 1998 წელს, განაგრძო თავისი კარიერა Médecins Sans Frontières-ში, შრილანკაში, ფინანსური კონტროლიორის პოზიციაზე. 2000 წლიდან, ბ-ნი სტრეპელი მუშაობს Triodos Investment Management-ში - იკავებდა უფროსი საინვესტიციო ოფიცრის პოზიციას, ხოლო შემდგომში, Hivos-Triodos ფონდის მენეჯერის პოზიციას. 2008 წელს კი, გახდა მმართველი დირექტორის მოადგილე, საინვესტიციო პორტფელის მართვის მიმართულებით. დღესდღეობით ბ-ნი სტრეპელი Triodos Investment Management-ში უძღვება საინვესტიციო საქმიანობას - ორიენტირებული განვითარებად ბაზრებზე. მას აქვს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის 15 წლიანი გამოცდილება აზიასა და აფრიკაში მოქმედ ბანკებში.</p>

<p>პაულ კატალინ პანციუ</p>	<p>დამოუკიდებელი წევრი</p>	<p>2015</p>	<p>ბ-ნ პანჩიუს აქვს საფინანსო სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება რამდენიმე ქვეყნის მასშტაბით, როგორც აღმასრულებელ, ასევე მენეჯერულ პოზიციებზე. აქვს ასევე საოპერაციო გამოცდილება ისეთი მიმართულებებით, როგორც არის: ეფექტური გაყიდვები, ორგანიზაციული მართვა, საკრედიტო რისკი, აუდიტი და ა.შ. ამჟამად, იკავებს აღმასრულებელი მოადგილის პოზიციას OMRO IFN SA-ში. მან გაიარა INSEAD-ის Strategy Execution Programme Fontainebleau, საფრანგეთში და ფლობს ნორვეგიის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ბიზნესში.</p>
<p>იოჰანეს მაინჰარდტი</p>	<p>წევრი</p>	<p>2017</p>	<p>ბ-ნი მაინჰარდტი ამჟამად იკავებს ჯგუფის პორტფელისა და საინვესტიციო განყოფილების უფროსის პოზიციას აქსესჰოლდინგში. მას აქვს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში რამდენიმე მიკროსაფინანსო ბანკში მუშაობის გამოცდილება. ის იკავებდა ფინანსური და რისკების დირექტორის პოზიციას კრედო ბანკში, საკრედიტო და საოპერაციო დირექტორის პოზიციას AB Microfinance Bank-ში, ნიგერიაში და სხვადასხვა სენიორ პოზიციებს აქსესჰოლდინგის სხვა ბანკებში. მან მისი კარიერა დაიწყო Deutsche Bank AG- ში, ფრანკფურტში. დღესდღეობით, ბ-ნი მაინჰარდტი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ჰოლდინგის ორ ბანკში, ტანზანიაში და ნიგერიაში. იგი ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს საბანკო სპეციალობით. საუბრობს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.</p>
<p>ენდრიუ პოსპიელოვსკი</p>	<p>დამოუკიდებელი წევრი</p>	<p>2019</p>	<p>ენდრიუ პოსპიელოვსკის აქვს ოც წლიანი გამოცდილება საერთაშორისო მენეჯმენტში, საკონსულტაციო და საბჭოს წევრობის გამოცდილება მიკროფინანსებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო საქმიანობაში აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. მას აქვს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებზე ორიენტირებულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში აღმასრულებელ დირექტორად მუშაობის სტაჟი, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უკრაინა, სერბეთი</p>

			და ყაზახეთი. ის ასევე კონსულტაციას უწევს ფინანსურ დაწესებულებებს სტრატეგიის, ინსტიტუციონალური გარდაქმნის, რისკების მართვისა და პროდუქტის განვითარების სფეროში. ბ-ნი პოსპიელოვსკი ფლობს ლონდონის უნივერსიტეტის თანამედროვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, საუბრობს ინგლისურ და რუსულ ენებზე.
--	--	--	--

3.5. ინფორმაცია დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ

სახელი, გვარი	თანამდებობა	წევრია-დან	ინფორმაცია
ზაალ ფირცხელავა	გენერალური დირექტორი	2003	<p>ზაალ ფირცხელავა 2014 წლიდან სს „კრედო ბანკის“ გენერალური დირექტორია. 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკური სტატისტიკის ფაკულტეტი დაასრულა. ამის შემდეგ განათლების მიღება თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ESM -ში განაგრძო და 2004 წელს, ფინანსური მართვის მაგისტრის ხარისხის მფლობელი გახდა.</p> <p>ზაალი ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ზოგადი მენეჯმენტის 2012 წლის პროგრამის (GMP) კურსდამთავრებულია. მას, ასევე, წარმატებით აქვს გავლილი 25-ზე მეტი სასწავლო კურსი ბიზნესის, ფინანსების, საბანკო და ზოგად მენეჯმენტში საქართველოსა და ევროპაში.</p> <p>კარიერა 1994 წელს სს „კონტო-პოლისი“ ბანკის, ფინანსური ანალიზის დეპარტამენტში, ექსპერტის პოზიციით დაიწყო. 1997 წლიდან სს „ინტელექტბანკის“, საკრედიტო დეპარტამენტის ექსპერტი იყო. 2002 – 2003 წელს, იკავებდა „ინტელექტბანკის“ ფინანსური ანალიზისა და დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას.</p> <p>კრედოს გუნდს 2003 წელს შემოუერთდა, ოპერაციების მართვის დირექტორად. 2013 წლიდან, შეითავსა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ფუნქცია- მოვალეობები. წარმატებული საქმიანობიდან გამომდინარე, ზაალ ფირცხელავა 2014</p>

			წლიდან დღემდე სათავეში უდგას საქართველოს საფინანსო სექტორში ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციას - სს „კრედიტ ბანკს“ და გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებს. 2018 წლიდან, იგი ასევე იკავებს აქსეს ჯგუფის ერთ-ერთი ბანკის, “აქსესბანკ მადაგასკარის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას.
ერეკლე ზათიაშვილი	ფინანსური დირექტორი	2017	<p>ერეკლე ზათიაშვილი 2017 წლიდან იკავებს კრედიტ ბანკის ფინანსური დირექტორის პოზიციას. მას საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის 17 წლიანი გამოცდილება აქვს.</p> <p>კრედიტ ბანკის დირექტორთა საბჭოში გაწევრიანებამდე, 2015-2016 წლებში ხელმძღვანელობდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის პირველ განყოფილებას, სადაც აქტიურ ზედამხედველობას უწევდა საქართველოს ბანკის ჰოლდინგის ბიზნეს ჯგუფში შემავალი კომპანიების ოპერაციებს.</p> <p>2014-2015 წლებში იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას ჰოლდინგურ კომპანია აგრონ ბიზნეს ჯგუფში. მანამდე, 2011 წლიდან 2014 წლამდე იყო პროკრედიტ ბანკის ფინანსური დირექტორი და მენეჯმენტ ბორდის წევრი. 2012 წლამდე გახლდათ “LLC პროკრედიტ ფროფერტის” აღმასრულებელი დირექტორი სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომპანიის აქტივების მართვაში. 2008-2011 წლებში პროკრედიტ ბანკში იკავებდა მაღალი რგოლის მენეჯერის სხვადასხვა თანამდებობებს ფინანსურ მიმართულებაში.</p> <p>ერეკლე ზათიაშვილს 2002 წელს მიღებული აქვს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ESM -ის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. 2008-2009 წელს გავლილი აქვს პროკრედიტ ჰოლდინგის მენეჯმენტის 1 წლიანი პროგრამა მაკედონიაში. 2010-2012 წელს გავლილი აქვს პროკრედიტ ჰოლდინგის მენეჯმენტის 3 წლიანი პროგრამა გერმანიაში. 2016 წელს გავლილი აქვს საერთაშორისო სავალუტო</p>

			ფონდის მაკრო ეკონომიკის და ფინანსური სტაბილურობის პროფესიული პროგრამები ავსტრიაში.
ზაზა ტყემელაშვილი	საკრედიტო ოპერაციების დირექტორი	2003	<p>ზაზა ტყემელაშვილი სს „კრედიტ ბანკის“ საკრედიტო ოპერაციების დირექტორის პოზიციას იკავებს. 1997 წელს მან დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტების ფაკულტეტი, ხოლო 2015 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ESM -ის მაგისტრი გახდა.</p> <p>ზაზას გავლილი აქვს არაერთი სასწავლო კურსი მენეჯმენტის, რისკების მართვის, ბიზნეს ადმინისტრირებისა და აგრო დაფინანსების მიმართულებით საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. იგი ასევე, LFS კამპუსის SME და აგრო მიმართულების პროგრამის კურსდამთავრებულია.</p> <p>ზაზას კარიერა დაიწყო 2000 წელს, “World Vision International”-ის საკრედიტო ოფიცრის პოზიციიდან. წარმატებული მუშაობით გახდა საუკეთესო საკრედიტო ოფიცრის ტიტულის მფლობელი. 2003-2006 წლებში, ის იკავებდა სესხის მენეჯერის პოზიციას “Vision Fund”-ში. მისი კარიერა ახალ ეტაპზე გადავიდა 2007 წლიდან, როდესაც „Triquest International Group”-ის პროექტების მენეჯერი გახდა. კრედიტო მუშაობის პერიოდში, ზაზამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხური წარმატებით გაიარა, იყო ფილიალის მენეჯერი, რეგიონალური ოპერაციების მენეჯერი, ოპერაციების მენეჯერის მოადგილე.</p> <p>2014 წლიდან ზაზა ტყემელაშვილი სს „კრედიტ ბანკის“ საკრედიტო ოპერაციების დირექტორის თანამდებობაზეა და დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრია.</p>

<p>ნიკოლოზ ქუთათელაძე</p>	<p>კომერციული დირექტორი</p>	<p>1999</p>	<p>ნიკოლოზ ქუთათელაძე სს „კრედო ბანკის“ კომერციული დირექტორის პოზიციას იკავებს 2020 წლიდან. ნიკოლოზმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 1998 წელს დაასრულა. 2010 წელს კი, თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ESM -ის, ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მფლობელი გახდა. ნიკოლოზს წარმატებით აქვს გავლილი არაერთი ტრენინგი თუ სასწავლო პროგრამა მარკეტინგული კვლევების, მომხმარებელთან ურთიერთობის, მართვისა და ლიდერობის, ფინანსებისა და ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ევროპის წამყვან ბიზნეს სკოლებში. ნიკოლოზ ქუთათელაძემ კარიერა 1997 წელს „World Vision International“ -ის მიკროსაფინანსო პროგრამაში სესხის ოფიცრის პოზიციიდან დაიწყო. იგი მალევე დაწინაურდა და 1999 წლიდან 2005 წლამდე, "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოს" უფროსი სესხის ოფიცრის პოზიცია დაიკავა, ამავდროულად ითავსებდა მარკეტინგის ოფიცრის მოვალეობებს. გარდა ამისა, 1999 წელს იგი იყო პროექტების კოორდინატორი "Norwegian Refugee Council" -ში. ნიკოლოზ ქუთათელაძე, 2005 წლიდან 2020 წლის მაისამდე, სათავეში ედგა საქართველოს საფინანსო სექტორში მოწინავე ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და სს „კრედო ბანკის“ მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა. წარმატებული საქმიანობიდან გამომდინარე, 2020 წლის ივნისიდან, იგი სს "კრედო ბანკის" კომერციული დირექტორი და ამასთანავე დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა.</p>
---------------------------	-----------------------------	-------------	--

<p>ალექსანდრე ქუმსიაშვილი</p>	<p>საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი</p>	<p>2005</p>	<p>ალექსანდრემ 1995 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მალევე ინტერპოლის ეროვნულ ბიუროში ინსპექტორ-პროგრამისტად დაიწყო კარიერული საქმიანობა. NCB-ში ყოფნის დროს მისი პირდაპირი ჩართულობით მრავალი ინოვაციური IT პროექტი განხორციელდა კომუნიკაციის, ფოტო ამოცნობის, მონაცემთა დამუშავებისა და ავტომატიზაციის მიმართულებით.</p> <p>1998 წლიდან მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია International Rescue Committee-ში მონაცემთა ბაზისა და აქტივების მენეჯერის პოზიციაზე, მისი პასუხისმგებლობის არეალი IT ოპერაციებსა და მენეჯმენტს მოიცავდა.</p> <p>2003 წელს, როდესაც საქართველოში დასრულდა IRC-ს მისია, იგი World Vision Georgia-ს, ხოლო 2005 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედოს" გუნდს IT და MIS მენეჯერის პოზიციაზე შეუერთდა. მას მიკროსაფინანსო/საბანკო სფეროში 15-წლიანი ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით - 25-წლიანი გამოცდილება გააჩნია.</p> <p>ალექსანდრემ დაასრულა სხვადასხვა პროფესიული, ფინანსური, მენეჯმენტისა და მმართველობის პროგრამები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ევროპის წამყვან ბიზნეს სკოლებში.</p> <p>ალექსანდრეს მაღალკვალიფიციურობისა და მისი საქმიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, 2020 წლის ივნისიდან იგი გახდა სს "კრედო ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი.</p>
-------------------------------	---	-------------	--

3.6. აუდიტის კომიტეტი და შიდა კონტროლი

აქციონერთა საერთო კრებამ ყოველწლიურად უნდა აირჩიოს/დაამტკიცოს გარე აუდიტორი, რომელიც ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელი იქნება ბანკისგან. ასეთი

აუდიტორის მიერ ჩატარებული ყოველწლიური სავალდებულო აუდიტი უნდა მოიცავდეს ბანკის საანგარიშგებო პროცედურებს, საბალანსო უწყისსა და ბიზნეს საქმიანობას. ყოველწლიური აუდიტის დასრულებისთანავე, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება სრული დასკვნა. ბანკის ფინანსური ანგარიშგებები და აუდიტორის დასკვნა ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ბანკის აუდიტის კომიტეტი იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტის კომიტეტი შედგება სულ მცირე სამი წევრისგან, თუმცა ყველა შემთხვევაში რაოდენობა უნდა იყოს კენტი, რომელთა შერჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

აუდიტის კომიტეტს გააჩნია შემდეგი უფლებები და ვალდებულებები:

- აუდიტის კომიტეტი ვალდებულია განსაზღვროს ანგარიშგებისა და ანგარიშების შედგენის წესი ბანკისთვის, აუდიტის კომიტეტმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ წესების დაცვას და შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული ჩანაწერები და ჟურნალები ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის საშუალებით;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის მის მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტზე მოქმედი რეგულაციები და უზრუნველყოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის შესაბამისი ფუნქციონირება;
- უზრუნველყოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ბანკის დირექტორთა საბჭოსგან დამოუკიდებლად ფუნქციონირება;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამოქმედო გეგმა მომდევნო ფისკალური წელიწადისთვის;
- განიხილოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის კვარტალური ანგარიშები, დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს აუდიტორული შემოწმების დასკვნები და რეკომენდაციები;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის შიდა აუდიტის საქმიანობას და უზრუნველყოს მის მიერ კვარტალური და წლიური სამოქმედო გეგმების შესრულება;
- შეაფასოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა;
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან ერთად უზრუნველყოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
- წარუდგინოს რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე დანიშნასთან/თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით;
- ხელი შეუწყოს გარე აუდიტორების საქმიანობას. და
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს მას კონკრეტული ანგარიშები.

აუდიტის კომიტეტის შეხვედრები უნდა ჩატარდეს სულ მცირე კვარტალში ერთხელ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეხვედრის მოწვევა შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე. აუდიტის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. დამსწრე წევრებს უფლება არ აქვთ თავი შეიკავონ კენჭისყრაში მონაწილეობისგან.

აუდიტის კომიტეტის კრებებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომლის შერჩევა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

4. რისკის მართვა

4.1 ბანკის სტრატეგია

„კრედოს“ სტრატეგია ყოველთვის იყო ინოვაციური ფინანსური და არა-ფინანსური პროდუქტების და განსაკუთრებულად ხარისხიანი მომსახურების მიწოდება მთელი საქართველოსმასშტაბით, განსაკუთრებით კი სოფლის მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის, მათი ოჯახებისთვის და თანამშრომლებისთვის.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში „კრედო“ ფოკუსირებას მოახდენს ეფექტურობიდან მიღებულ სარგებელზე, რომლის მიზანია საქართველოს დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ფენისთვის ფინანსურ და არა-ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესების გაგრძელება. ეს გამოიწვევს პროდუქციისა და მომსახურების უფრო დივერსიფიცირებული სპექტრის შეთავაზებას კლიენტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სხვა შეთავაზებებთან ერთად ასევე გათვალისწინებული იქნება ახალი სადაზღვევო პროდუქტები, მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები, მობილური ბანკინგი და სწავლებები სოფლის მეურნეობის დარგში.

„კრედოს“ რისკის მართვის სტრატეგია მომდინარეობს მისი ბიზნეს სტრატეგიიდან და ბანკის რისკის პროფილის განსაზღვრისას ითვალისწინებს ბიზნეს მოდელისათვის დამახასიათებელ ყველა ფაქტორს

ბანკი გეგმავს სტაბილურ, მაგრამ აქტიურ განვითარებას, რაც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის ზრდაში. ბანკი მთლიანად აცნობიერებს იმ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ბიზნეს მოდელთან და აქტიურ განვითარებასთან და უზრუნველყოფს სათანადო პლატფორმას იმისათვის, რომ შეამციროს ეს რისკები, ადეკვატური საზედამხედველო და ეკონომიკური კაპიტალის, ასევე სათანადო სტრუქტურის, პოლიტიკების, პროცედურებისა და ანგარიშგების ჩამოყალიბების გზით.

4.2 რისკზე პასუხისმგებელი პირები

რისკი მართვა კრედო ბანკში ხორციელდება სამ განსხვავებულ დონეზე და თითოეულ რისკის კატეგორიას გააჩნია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. პირველი დონის შემთხვევაში, განსაზღვრული რისკებისთვის არსებობებს განსაკუთრებული პასუხისმგებელი პირები. მეორე დონის შემთხვევაში, რისკის მართვის სპეციალიზირებული განყოფილება ახორციელებს სათანადო

ქმედებებს, ხოლო მესამე დონეზე, პასუხისმგებლობა ეკისრებათ სხვადასხვა კომიტეტებს, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს.

4.3 მფლობელების ფუნქციები/პასუხისმგებლობები

პირველი დაცვის დონე რისკის მენეჯმენტში არსებობს შემდეგ სტრუქტურულ დონეებზე:

- **საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი** - მისი ძირითადი ფუნქციაა კლიენტებთან ყოველდღიური ურთიერთობა. დეპარტამენტი პასუხისმგებელია გაყიდვებზე და ბიზნეს გეგმების შესრულებაზე. ამ ფუნქციას ზედამხედველობს საკრედიტო ოპერაციების მთავარი ოფიცერი. საკრედიტო ოპერაციების მართვა ხორციელდება საკრედიტო ოპერაციების მენეჯერის მიერ. საკრედიტო ოპერაციების ფუნქცია რეგულირდება საოპერაციო პოლიტიკით;
- **პრობლემური სესხების დეპარტამენტი** - პასუხისმგებელია სესხის გადახდევინებაზე შიდა პროცედურებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია აუქციონების ჩატარებაზე და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციაზე იმისათვის, რომ დაიფაროს გადახდისუუნარო მსესხებლების ფინანსური ვალდებულებები. ამ ფუნქციას ზედამხედველობს საკრედიტო ოპერაციების მთავარი ოფიცერი. აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქცია რეგულირდება საოპერაციო პოლიტიკით;
- **სახაზინო დეპარტამენტი** - უზრუნველყოფს დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ისეთი ოპერაციების განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის გაცვლასთან, საპროცენტო განაკვეთებთან და ლიკვიდურობის მართვასთან. ამ ფუნქციის განხორციელებას ზედამხედველობს მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი (გენერალური დირექტორი). სახაზინო საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ;
- **საკრედიტო კომიტეტები** - არსებობენ ორ იერარქიულ დონეზე. სესხის ოდენობის და სესხის ტიპების მიხედვით, კომიტეტების შემადგენლობა შეიძლება განსხვავდებოდეს. საკრედიტო კომიტეტების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ როგორც წარმომადგენლები ბიზნეს ოპერაციებიდან, ისე წარმომადგენლები არა-ბიზნეს ხაზებიდან (საკრედიტო რისკების განყოფილება, დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო). საკრედიტო კომიტეტები იღებენ გადაწყვეტილებებს სასესხო განაცხადებთან, არსებული სესხების რესტრუქტურისა და რეფინანსირებასთან და იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია პრობლემურ სესხებთან. საკრედიტო კომიტეტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების ფარგლები განისაზღვრება და რეგულირდება საოპერაციო პოლიტიკით;

მეორე დაცვის ხაზი რისკის მენეჯმენტში არსებობს შემდეგ სტრუქტურულ დონეებზე:

- **საკრედიტო რისკების განყოფილება** - პასუხისმგებელია ბანკის საკრედიტო ოპერაციების მიზნობრივ ხარისხზე და სესხის დამოუკიდებლად განხილვასა და დამტკიცებაზე. საკრედიტო რისკების განყოფილება უზრუნველყოფს სასესხო განაცხადების კრიტიკულ

განხილვას და პასუხისმგებელია საკრედიტო რისკების დადგენასა და ანალიზზე. ამ ფუნქციას ზედამხედველობს ოპერაციების მთავარი ოფიცერი. საკრედიტო რისკების განყოფილებას ხელმძღვანელობს საკრედიტო რისკების განყოფილების უფროსი და იგი რეგულირდება საოპერაციო პოლიტიკით;

- ფინანსური ანალიზისა და რისკების განყოფილება - წარმოადგენს რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულებისაგან დამოუკიდებელ განყოფილებას და ანგარიშვალდებულია ფინანსური დირექტორის წინაშე. განყოფილება პასუხისმგებელია რისკების მიმდინარე ანალიზსა და რეგულარულ შეფასებაზე, ფინანსური და არა-ფინანსური რისკების შესახებ ანგარიშგებაზე და მათ შედარებაზე სტრატეგიულ მიზნებთან და რისკის პროფილთან. განყოფილების ფუნქციები ფარავს საბაზრო რისკს, ლიკვიდურობის რისკს, საკრედიტო რისკს და კაპიტალის დაგეგმვას. იგი ასევე ახორციელებს სხვა რისკების შეფასებასაც, რომელიც შეიძლება არ იყოს არსებითი ამ ეტაპისთვის, თუმცა შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი „კრედო“ ბანკისთვის მომავალში.
- საოპერაციო რისკების განყოფილება - მასში გათვალისწინებულია დასაშვები საოპერაციო რისკების ზღვრული ნორმა და KRI, საოპერაციო რისკის ტიპების კლასიფიკაცია, ბიზნეს პროცესის იდენტიფიკაცია და აგეგმვა, საოპერაციო რისკების შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდები, და საოპერაციო რისკების მონიტორინგი მთელი ბანკის მასშტაბით, ანგარიშგება და შერბილება. განყოფილება ანგარიშვალდებულია მთავარი აღმასრულებელი ოფიცერის წინაშე.
- შესაბამისობის ფუნქცია - იგი არსებობს სხვადასხვა სტრუქტურულ სფეროში, შესაბამისობის სფეროს ტიპის მიხედვით. კრედო ბანკს გააჩნია AML/CFT-თან შესაბამისობის, საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობის ფუნქცია. შესაბამისობის ფუნქციები უზრუნველყოფენ ბანკის მიერ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან, კოდექსებსა და პოლიტიკებთან შესაბამისობის ეფექტურ და გეგმიურ მონიტორინგს, და ისინი რეგულირდებიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეგულაციებით.

მესამე დაცვის ხაზი რისკის მენეჯმენტში, შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობებთან ერთად, არსებობს შემდეგ სტრუქტურულ დონეებზე:

სამეთვალყურეო საბჭო (SB):

- იღებს, განიხილავს და ამტკიცებს ბანკის დასაშვები რისკების ზღვრულ ნორმას და განიხილავს ბანკის რისკის პროფილს;
- ამტკიცებს რისკის მართვის ჩარჩოს და ICAAP-ის ჩარჩოს ყოველწლიურად;
- განიხილავს ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს ადეკვატურობასა და ეფექტურობას;
- უზრუნველყოფს, რომ ICAAP-მ სრულად ასახოს ყველა არსებითი რისკი, რაც დამახასიათებელია ბანკის სტრატეგიისთვის, ბიზნეს მოდელისთვის და ბიზნეს ღონისძიებებისთვის;

- იღებს გადაწყვეტილებებს რისკის შერბილების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს მიერ რისკისა და რეგულარული ICAAP ანგარიშების საფუძველზე.

დირექტორთა საბჭო (MB):

- ახდენს ბიზნესის სტრუქტურირებას რისკების ასახვის მიზნით;
- უზრუნველყოფს ვალდებულებების ადეკვატურ გამიჯვნას;
- უზრუნველყოფს ადეკვატური პროცედურების მიღებას, მათ შორის პოლიტიკების საბოლოო დამტკიცებას (სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენამდე) და განხორციელებამდე საჭირო პროცედურებს;
- განსაზღვრავს მასზე დაქვემდებარებული პერსონალის საოპერაციო პასუხისმგებლობებს;
- უზრუნველყოფს, რომ ICAAP იყოს სათანადოდ გაზიარებული და განხორციელებული ბანკის მასშტაბით და რომ მას მხარს უჭერდეს სათანადო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და რესურსები;
- იღებს გადაწყვეტილებას რისკის შერბილებასთან დაკავშირებით, ICAAP-ის ანგარიშებზე დაყრდნობით, როდესაც ეს აუცილებლად მიიჩნევა;
- უძღვება საბანკო ოპერაციებს და პასუხისმგებელია სტრატეგიის განხორციელებასა და ვალდებულებების შესრულებაზე.

რისკის კომიტეტი:

- მონიტორინგს უწევს ბანკის რისკის პროფილს;
- ამტკიცებს კონტროლის მინიმალურ მოთხოვნებს ძირითადი რისკების შემთხვევაში, მათ შორის შეფასებას, მონიტორინგსა და რისკის ზღვრებს;
- დავობს და თანხმდება რისკის პროფილის ღონისძიებებთან და მთლიანი ბანკის რისკის სტრატეგიის ღონისძიებებთან დაკავშირებით;
- აფასებს ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობასა და რისკის მართვის სისტემებს;
- განიხილავს რისკის ანალიზის შედეგებს და სტრეს-ტესტებს, რომლებიც ტარდება რისკების მართვის განყოფილების მიერ, და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ALCO (აქტივების/ვალდებულებების კომიტეტი):

- განიხილავს მიმდინარე და პერსპექტიული ლიკვიდურობის პოზიციებს და დაფინანსების წყაროებს;
- ახორციელებს აქტივ/პასივების გეკ ანალიზს ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების გადაფასების გრაფიკების ჭრილში და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მსხვილ თანხებში გამოხატული აქტივებს და ვალდებულებებს, რომელთა მიღება /გადახდის ვადები მოახლოებულია;
- ადგენს განფასებისა და ვადიანობის პარამეტრებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციებისათვის;

- ავითარებს ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სადეპოზიტო და სასესხო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილებები, ასევე ამ ცვლილებების ტენდენციები შესაბამის საფინანსო ბაზრებზე, აგრეთვე საბანკო რეგულაციების ცვლილები.
 - ახორციელებს ALM მოდელის(ების)-თვის საწყისი მონაცემების, დაშვებების, პროცედურებისა და შედეგების დამოუკიდებელ განხილვას;
 - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული ზღვრების ფარგლებში ამტკიცებს კონკრეტული კონტრაქტებთან ოპერაციების ლიმიტებს და სტრუქტურას;
- აუდიტის კომიტეტი:**
- როგორც ეს აღნიშნული იყო „კორპორაციული მართვის“ ნაწილში, იგი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვე-კომიტეტს და ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია შიდა და გარე აუდიტის ზედამხედველობაზე;
 - განიხილავს ბანკის შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემას (მათ შორის შიდა აუდიტის დეპარტამენტის) და ამზადებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის და დირექტორთა საბჭოსთვის მოსალოდნელი გაუმჯობესებების თაობაზე;
 - მონიტორინგს უწევს ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან და კონტროლის საშუალებებთან, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან;
 - იღებს და განიხილავს ღონისძიებათა ანგარიშებს, მათ შორის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტი:

- აფასებს ბანკის რისკის მართვის სისტემის და შიდა კონტროლის ადეკვატურობასა და ეფექტურობას;
- ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენად, სადაც მოცემულია აუდიტორული საქმიანობის, მიგნებებისა და რეკომენდაციების შეჯამება.

4.4 მთავარი რისკები

ამ ნაწილში განვიხილავთ ინფორმაციას იმ არსებითი რისკების შესახებ, რომლებიც თან ახლავს საბანკო ოპერაციებს.

საკრედიტო რისკები

ბანკის საკრედიტო სტრატეგიას წარმოადგენს დივერსიფიცირებული და რენტაბელური სასესხო პორტფელის შექმნა როგორც სოფლის, ისე ქალაქის ტერიტორიებზე, ამ პორტფელის უმაღლესი ხარისხის შენარჩუნების გზით. იმისათვის, რომ მოხდეს ჯანსაღი პორტფელის შექმნა და შენარჩუნება, სესხის გაცემის პროცესები და წესები შემუშავდა გონივრული წინდახედულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

საკრედიტო რისკი აშკარად ყველაზე არსებითი და მატერიალური ხასიათის რისკია „კრედო“-სთვის. კრედო დგამს შემდეგ ნაბიჯებს საკრედიტო რისკების შეფასებისა და მართვისთვის:

- **საკრედიტო რისკების მართვის სათანადო გარემოს შექმნა** - ეს მიიღწევა წერილობითი საოპერაციო პოლიტიკის საფუძველზე, რომლის დანართებიც მოიცავს ინფორმაციას სამიზნე ბაზრებს, სასესხო პროდუქტების, საპროცენტო განაკვეთების, თანხობრივი ლომიტების აგრეთვე დამამტკიცებელი ერთეულების, გამონაკლისებისა და ანგარიშგების შესახებ. ბანკი განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალის რეგულარულ სწავლებას საკუთარ სასწავლო აკადემიაში, რეგულარული სემინარებისა და საწარმოო შეხვედრების დროს, კონტროლის მექანიზმებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თანამშრომელთა კარიერა და დაწინაურების საფეხურები დაკავშირებულია პორტფელის ხარისხთან. წახალისების ყველა სქემას, მათ შორის მენეჯმენტისას, გააჩნია მიღწეული შედეგების ხარისხობრივი კომპონენტები.

ყველა საკრედიტო გადაწყვეტილება მიიღება საკრედიტო კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება სულ მცირე ორი წევრისგან, საამისოდ გამოყოფილი რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ, ანუ არც-ერთ თანამშრომელს არ შეუძლია სესხის შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება.

საკრედიტო რისკებს მონიტორინგს უწევს საკრედიტო დეპარტამენტი. არსებობს სესხის დამტკიცების რამოდენიმე დონე სესხის თანხის შესაბამისად.

„კრედო“ ცდილობს, შექმნას სესხის დროული და სწრაფი გადახდის პრაქტიკა იმ მსესხებლების წახალისებით, რომლებიც იცავენ სესხის პირობებს. ამისათვის ასეთ კლიენტებს სთავაზობს სამომავლოდ სესხის აღების შესაძლებლობას უკეთესი პირობებით. სესხის ოფიცრის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება, გულისხმობს არა მარტო საწარმოს ფულადი ნაკადების გამოთვლას და მისი ლიკვიდურობის შეფასებას, არამედ იმ მონაცემების შეფასებასაც, რომლებიც წარმოადგენილია ოფიციალურ საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებსა და/ან ჩანაწერებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პრობლემური სესხების ამოღების სპეციალური განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია მრჩევლებით სამართლებრივ საკითხებში, ხელს უწყობენ პრობლემური ვალების ამოღებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას.

„კრედო“ ასევე იყენებს სტანდარტიზირებულ ქულების ბარათებს, (scorecards) რომელთა

განახლება ხდება რეგულალურად და ამგვარად ხდება თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.

- **ფუნქციონირება კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესით** - კრედიტის გაცემა გულისხმობს სხვადასხვა ელემენტის გათვალისწინებას, რომლებიც აღწერილია საოპერაციო პოლიტიკაში. აღნიშნული პროცესი ასევე ითვალისწინებს სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობას კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად (მაგ; მოსავლის დაზღვევა, მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა და ა.შ). აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტების მიზანია სასესხო პორტფელისთვის კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკის შერბილება. სესხის ანალიზისას ძირითადი ფოკუსირება ხდება მომავლი კლიენტის გადახდის უნარიანობასა და მის სურვილზე, გადაიხადოს სესხი; ამისათვის კი პირველ რიგში ხდება ბიზნესის ფულადი ნაკადების ზედმიწევნითი გამოთვლა. სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქტივებისა და მათი პროფესიონალური შეფასების არსებობისას, ხდება უზრუნველყოფის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ანალიზის ამ ასპექტს გადაწყვეტილების მიღების იერარქიაში მხოლოდ მეორადი რანგი უკავია.
- **კრედიტის სათანადო მართვის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დაცვა** - ეს გულისხმობს იმ რამოდენიმე ძირითადი საყურადღებო საკითხის რეგულარულ მონიტორინგს, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალურ და და ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებთან. აღნიშნული მოიცავს მსესხებლის ან კონტრაქტის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობის მონიტორინგს, არსებულ გადახდის გრაფიკთან ვალდებულებების შესრულების შესაბამისობას, უზრუნველყოფის საკმარისობის მონიტორინგს, ასევე დაკავშირებული მსესხებლების მონიტორინგს რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ რეფინანსირებულ/რესტრუქტურირებულ მსესხებლებთან დაკავშირებულ რისკებს, როდესაც ბანკი იყენებს სათანადო ხელშეკრულების პირობებს და მისი მიღებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, ატარებს კრედიტის ინტენსიურ კონტროლს და რეფინანსირების/რესტრუქტურირების ზედმიწევნით მონიტორინგს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის სასესხო პორტფელი;
- **სათანადო ანგარიშგება პორტფელის ხარისხის შესახებ** - პორტფელის ხარისხისა და სესხის ლიმიტების შესახებ რეგულარულად დგება ანგარიშგებები და წარედგინება ბანკის მენეჯმენტს სასესხო პორტფელის ანგარიშგებების მეშვეობით. ბანკი ახდენს კრედიტების კლასიფიკაციას პრობლემური და უპრობლემო სესხების სახით, და ქმნის სათანადო რეზერვებს სესხებთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის დაფარვის მიზნით, ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. პორტფელის შესახებ ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას პორტფელის თანხებისა და გადასახდელების მიხედვით განაწილების შესახებ, ასევე სექტორებისა და რეგიონების, ვალუტებისა და პროდუქტების და ა.შ. მიხედვით.

- რეგისტრირებული უზრუნველყოფა - საკრედიტო რისკის მიტიგაციის უმნიშვნელოვანეს სახეობას წარმოადგენს სათანადო წესით რეგისტრირებული სესხის უზრუნველყოფა. „კრედოს“ მიერ უზრუნველყოფად გამოყენებულია: უძრავი ქონება, მოძრავი ქონება, მესამე პირის გარანტია, ძვირფასეულობა. უზრუნველყოფის სათანადო რეგისტრაციამდე ის შეფასებული უნდა იქნას შესაბამისი კომპეტენციის მქონე, დამოუკიდებელი ექსპერტ შემფასებლის მიერ. საოპერაციო პოლიტიკაში დეტალურად აღწერილია შეფასების პროცედურები. ამა თუ იმ სერვისის ცენტრის მომსახურე ექსპერტ შემფასებლის როტაცია ხდება ყოველ კვარტალში ერთხელ. უზრუნველყოფად უძრავი ქონების გამოყენებისას, მსესხებელი თავად უნდა იყოს ამ ქონების მესაკუთრე, თუ ეს პირობა არ სრულდება იპოთეკის რეგისტრაციის გარდა, ქონების მესაკუთრე ამავდროულად უნდა იყოს მსესხებლის გარანტორიც. „კრედო“-ს უზრუნველყოფების საერთო ღირებულება 2020 წლის ბოლოსათვის შეადგენს 700 მილიონ ლარს. უზრუნველყოფების სახეობების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით (იხ. მე-7 ცხრილი)

ცხრილი 7. უზრუნველყოფის სტრუქტურა

უზრუნველყოფის ტიპი	ხვედრითი წილი %
უძრავი ქონება (იპოთეკა)	97.96%
მოძრავი ქონება	1.21%
ძვირფასეულობა	0.01%
მესამე პირის გარანტია (თავდებობა)	0.82%

უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები (CICR)

სავალუტო კურსთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები რელევანტურია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი პორტფელისთვის, გარდა ჰეჯირებული მსესხებლების შემთხვევებისა, როდესაც კლიენტის შემოსავალი იგივე ვალუტაშია ნომინირებული, რაც სესხი. საკრედიტო პორტფელში, უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, კრედიტის გაცემის პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი წესები:

- კრედოს გააჩნია თანმიმდევრული მიდგომა CICR-ის რისკთან დაკავშირებით - უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საკრედიტო ბუფერის დაწესების გზით. აღნიშნული მიიღწევა კლიენტების შემოსავლების ფაქტიურ გაცვლით კურსთან შედარებით უფრო კონსერვატიულ გაცვლით კურსზე გაყოფის გზით და შესაბამისად კლიენტის გადახდის უნარიანობის ანალიზისას, სესხის მომსახურეობის უფრო კონსერვატიული კოეფიციენტის მხედველობაში მიღებით, ვიდრე ეს ლარში გაცემული სესხების შემთხვევაში ხდება.

კონტრაგენტის საკრედიტო რისკი

ეს რისკი დაკავშირებულია ამა თუ იმ გარიგების კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკთან და გულისხმობს კონტრაგენტის შესაძლო დეფოლტს გარიგების შესრულებამდე ანუ ფულადი ნაკადებით საბოლოო ანგარიშსწორებამდე. კონტრაგენტის საკრედიტო რისკი გაითვალისწინება საპროცენტო განაკვეთთან და უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებულ იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მომავალში - შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. ამ ტიპის ოპერაციებს განეკუთვნება ფიუჩერსი, სვოპები, ოპციონები და სხვა დერივატივები.

- აღნიშნული რისკის მიტიგაციისათვის „კრედო“ ბანკს შემუშავებული აქვს ლიმიტების სისტემა თითოეული კონტრაგენტის მიმართ განსახორციელებელი სახაზინო ოპერაციების სახეობების მიხედვით. ეს ლიმიტები განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკით, რომელიც დამტკიცებულია ALCO-ს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ლიმიტები განიხილება ყოველწლიურად და ყველა შემთხვევაში მაშინ, როდესაც პარტნიორის შესახებ სათანადო ინფორმაციას შეიტყობს ბანკი. კონტრაგენტის ყველა ლიმიტი მტკიცდება და რეგულარულად განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების ან სისტემების არაადეკვატური ფუნქციონირების შედეგად, გარე მოვლენების (ხდომილებების) გამო, ასევე თანამშრომლების მიერ ვალდებულებების არაადეკვატურად შესრულების ან სავალდებულო პირობების, კონტრაქტებისა და შიდა რეგულაციების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად. საოპერაციო რისკი მოიცავს სამართლებრივ რისკს, თუმცა გამორიცხავს რეპუტაციის და სტრატეგიულ რისკებს.

იმისათვის, რომ მოხდეს საოპერაციო რისკის შეფასება და მართვა, „კრედო ბანკი“ იყენებს შემდეგ საშუალებებს და დგამს შემდეგ ნაბიჯებს:

- რისკების რუკა - ბანკის საოპერაციო რისკის პოლიტიკა უზრუნველყოფს კომპლექსურ ჩარჩოს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვისთვის. პოლიტიკა აყალიბებს იმ პრინციპებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ან შერბილება;
- საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და შერბილება - მოიცავს შემოწმებების სისტემას საოპერაციო რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების მიზნით;

ბანკის საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

- ზარალის შესახებ მონაცემების შეგროვება - დაფიქსირებული ზარალის შესახებ მონაცემების შეგროვება ბიზნეს ერთეულების ჩართვის გზით (მონაცემთა დეცენტრალიზირებული შეგროვება);
- თვით-შეფასება - არსებული რისკებისა და ზარალის შესაძლო მოვლენების შეფასება (ასევე ფასდება სიხშირე და სიმკაცრე) ბიზნეს ერთეულების ჩართვის და სათანადო ბიზნეს პროცესების რისკზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვის საფუძველზე;
- რისკის შერბილების ღონისძიებების განსაზღვრა და მათი მონიტორინგი - ზარალის შესახებ შეგროვილ მონაცემებზე და თვით-შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

საოპერაციო რისკის მართვა ბანკში ხორციელდება სამ დონეზე (ბიზნეს ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, საოპერაციო რისკის ერთეულის დონეზე/რისკის კომიტეტისა და ასევე აუდიტის დონეებზე).

საბაზრო რისკი

„კრედო“-სათვის რელევანტურია ორი ტიპის საბაზრო რისკი - ბანკის სასესხო პორტფელის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსთან დაკავშირებული რისკი. ორივე მათგანი დეტალურად აღწერილია ქვემოთ.

ბანკის პორტფელის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი - საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი არის არსებული ან მოსალოდნელი რისკი, რაც დაკავშირებულია როგორც შემოსავლების ისე კაპიტალის შესაძლო შემცირებასთან და რისი მიზეზიც შეიძლება იყოს საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებება. რამდენადაც „კრედოს“ არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი, რელევანტურია მხოლოდ საბანკო პორტფელთან დაკავშირებული რისკები.

„კრედოსათვის“ აქტუალური საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკების ტიპებია:

- გადაფასებასთან დაკავშირებული რისკი, ანუ რისკი, რომელიც წარმოიშობა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების განსხვავებული ვადიანობის სტრუქტურის გამო და ისეთი განფასების შედეგად, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების გადაფასების სხვადასხვა პერიოდი;
- რენტაბელობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი, ანუ რისკი, რომელიც წარმოიშობა რენტაბელობის მრუდის ზომისა და დახრილობის ცვლილებების გამო;

გადაფასებასთან დაკავშირებულ რისკს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არ არსებობს თანხვედრა აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურებს შორის და იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების გადახედვა ხორციელდება დროის სხვადასხვა ინტერვალში ან განსხვავებული ტიპის საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე (მაგ: აქტივები გაცემულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო ვალდებულებები მიღებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით). „კრედო“ ახორციელებს საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკების მართვასა და მონიტორინგს საპროცენტო განაკვეთების გადაფასების ვადიანობასთან დაკავშირებული გეპ ანალიზის მეშვეობით.

უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული რისკი - ასეთი რისკი მომდინარეობს კონკრეტული ვალუტის მიხედვით ღია ან არათანაბრად ჰეჯირებული პოზიციების არსებობის შემთხვევაში უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მოულოდნელი ცვლილებების შედეგად (რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ზარალი ადგილობრივ და საანგარიშგებო ვალუტაში).

სავალუტო პოზიციების მართვა ხდება ბანკის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით. სავალუტო პოზიციის გამოთვლა ხორციელდება სებ-ის რეგულაციების შესაბამისად და ხდება საბალანსო და კრედიტით ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის ყოველდღიური მონიტორინგი და დაცვა.

ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი

ლიკვიდურობა წარმოადგენს ბანკის უნარს ერთი მხრივ დააფინანსოს აქტივების ზრდა, მეორეს მხრივ შეასრულოს ვადა დამდგარი გასადახდელი ვალდებულებები და ამავდროულად არ განიცადოს დაუშვებელი ზარალი. ფაქტიურად ყველა ფინანსური ტრანზაქცია ან ვალდებულება შეიცავს ინფორმაციას ბანკის ლიკვიდურობასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის რისკის ეფექტური მართვა ხელს უწყობს ბანკის უნარიანობას დააკმაყოფილოს დაუგეგმავი (მოულოდნელი) ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გარეშე მოვლენების და/ან სხვა დაინტერესებული პირების (კრედიტორების) ქცევის გამო. ლიკვიდურობის რისკის მართვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლიკვიდურობის ნაკლებობამ ერთ საბანკო ინსტიტუტში შეიძლება გამოიწვიოს სისტემური შედეგები.

„კრედოს“ საშუალო ვადიანი პერსპექტივაში, ანაბრები (დეპოზიტები) შეზღუდულ როლს ითამაშებენ დაფინანსებაში. ლიკვიდურობის რისკის მთავარი წყარო მომდინარეობს ინსტიტუციონალური (საბაზრო) დაფინანსების განახლებიდან. ამ სახსრების გადახდის ვადების დეტალურად დაგეგმვა და მართვა, წარმოადგენს „კრედოს“ ლიკვიდურობის რისკის მართვის ძირითად ელემენტს:

- დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება ALCO-ს რეგულალურ სხდომებზე, რომლებიც ტარდება სულ მცირე ყოველთვიურად ან უფრო ხშირად, თუ ეს საჭიროა;
- ლიკვიდურობის პოზიცია ფასდება ყოველთვიურად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკით;
- გარდა ამისა, ბანკის სახაზინო დეპარტამენტი ახორციელებს პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს და უზრუნველყოფს შესაბამისი ლიკვიდურობის პოზიციების შენარჩუნებას იმ შიდა ლიმიტების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და ამავდროულად ითვალისწინებს ისეთ სათანადო შიდა და გარე ფაქტორებს, როგორცაა ხარჯებისა და განაცემების სეზონურობა.

- იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ლიკვიდურობა, ბანკი ახორციელებს ჭარბი ლიკვიდობის ალოკაციას მოკლევადიანი დეპოზიტების სახით კონტრაქტ ბანკებში, თითოეული კონტრაგენტისათვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. აღნიშნული ლიმიტების განახლება ხდება რეგულარულად. ბანკი ცდილობს მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი კონტრაქტების მიხედვით აქტივების დივერსიფიკაცია იმის გათვალისწინებით, რომ უპირატესობა ენიჭება ტოპ-რეიტინგის მქონე ბანკებს საქართველოში.

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი არის მიმდინარე ან შესაძლო ირიბი რისკი, რომელიც ემუქრება შემოსავლებისა და კაპიტალის დაკარგვას და მომდინარეობს კლიენტების, კონტრაქტების, აქციონერების, ინვეტორების ან მარეგულირებლების მხრიდან ფინანსური ინტიტუტების იმიჯის უარყოფითად აღქმიდან. ეს თავისთავად გამხატულებას პოლობს იმ ფაქტში, რომ გარეშე მოსაზრება ორგანიზაციასთან დაკავშირებით ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე სასურველი.

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი შეიძლება წარმოიშვას საბანკო სფეროს სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, სამართლიანი საბაზრო პრაქტიკის არარსებობის გამო, დაბალი ან სავალალო მომსახურების ხარისხის, ბიზნესის არასათანადო წარმართვის ან მარეგულირებელი ორგანოს არასასურველი მოსაზრების ან მოქმედებების გამო.

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის მართვა ხორციელდება რამოდენიმე პროცესისა და კრედო ბანკის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

- კრედოს ჰყავს ძლიერი და რესპექტაბელური აქციონერები და სავალო ინსტრუმენტების ინვესტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალდებულებების შესრულებას საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკების შესაბამისად, განსაკუთრებით კი ეს ეხება: მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, AML-სს, კორპორატიულ მართვას, გარემოზე ზემოქმედებასა და სოციალური რისკების მართვას;
- Access Holding AG-მ, რომელიც წარმოადგენს კრედოს მშობელ კომპანიას, დანერგა მომხმარებლების დაცვის საერთო მავალდებულებელი პოლიტიკა მის მიერ დაფუძნებულ ყველა კომპანიაში. აღნიშნული პოლიტიკა მოითხოვს რეგულარულ ანგარიშგებას მომხმარებლების დაცვასთან დაკავშირებული საკითხებზე;
- კრედოს გააჩნია გარემოსა და სოციალური ეფექტურობის მკაცრი პოლიტიკა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს თანამშრომლის სამუშაო პირობებს, ბავშვის შრომასა და „კრედოს“ საინვესტიციო პოლიტიკას. ბანკის სესხის გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობა შემოიფარგლება გამონაკლისების სიით, ყველა პოტენციური კლიენტი და ბიზნესები

დაფინანსებამდე მოწმდება ამ სიის საფუძველზე. კრედო რეგულარულად მოახსენებს საკუთარ აქციონერებს და მისი დამფინანსებელი პარტნიორების უმრავლესობას გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. რეგულარად ხდება ES პოლიტიკის განახლება და განხილვა და ექვემდებარება ინვესტორების მიერ მათი ფინანსური მდგომარეობის ხშირ შემოწმებას;

- „კრედოს“ აქციონერები აწესებენ საოპერაციო პოლიტიკას, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ორგანიზაციის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლებზე ფოკუსირებასთან, საინვესტიციო პოლიტიკასთან, კრედიტის გადახდისუნარიანობის შეფასების სტანდარტებთან, თანამშრომლებთან მოპყრობასთან და სხვა გარე დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობასთან;
- აქციონერების მიერ განსაზღვრულია „კრედო“-ს ვალდებულება, შეარჩოს მხოლოდ ტოპ აუდიტორული კომპანიებიდან ერთ-ერთი, მისი ფინანსური ანგარიშგებების გარე აუდიტორული ყოველწლიური შემოწმების მიზნით. ასევე შეინარჩუნოს სადაზღვევო მომსახურება ისეთ რესპექტაბელურ კომპანიებთან, რომლებიც აზღვევენ კლიენტთა ლოიალურობას, ნაღდ ფულს, ელექტრონულ თაღლითობას, ძირითად საშუალებებს, დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობას;
- კრედოს გააჩნია ქოლ ცენტრის განყოფილება, რაც აძლიერებს მომხმარებლების მხრიდან უკუკავშირის საშუალებას საჩივრებთან და წინადადებებთან დაკავშირებით;
- კრედო ფლობს სასწავლო აკადემიას, სადაც იგი ასწავლის და გადაამზადებს პერსონალს მთელი წლის განმავლობაში. სწავლების ფუნქციები მოიცავს კრედოს მისიას, სამიზნე ჯგუფებს, კრედიტის გადახდისუნარიანობის სტანდარტებს, ქცევის კოდექსს, გარემოს დაცვასა და სოციალურ მართვას და AML-სს;
- კრედოს გააჩნია დეტალური წერილობითი კლინეტთა მომსახურების სტანდარტები საკუთარი პერსონალისა და ფილიალებისთვის. ხორციელდება სტანდარტების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება კლიენტთა მომსახურების კონტროლის განყოფილების მიერ და ყოველწლიურად გარე მისტიური მომხმარებლების მიერ;
- კრედო ატარებს ფოკუს ჯგუფების ყოველწლიურ გამოკითხვებს და რეგულარ კვლევებს ბაზრებზე, პროდუქტებზე და არსებულ კლიენტებზე. კლიენტების შენარჩუნების კოეფიციენტის მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად.

ბიზნეს რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის მართვა ხდება პოლიტიკებითა და პროცესებით, კაპიტალის გამოყოფა არ ხდება.

5. რისკის დასაშვები ზღვრული ნორმა

5.1 დაინტერესებული მხარეები

მარეგულირებელი ჩარჩოსა და ბანკის ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით განისაზღვრება რისკის აპეტიტი, ანუ რისკის დასაშვები ზღვრული ნორმა, რაც შემდგომ აისახება კომპანიის ოპერაციებსა და რისკის მართვის სტრატეგიაზე. მასზე დაყრდნობით დირექტორთა საბჭო, სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, ახორციელებს ოპერაციების მონიტორინგს. განსაზღვრავს და აფასებს, თუ რამდენად ახლოსაა ბანკი დაწესებულ ზღვრებთან და რა რესურსი აქვს კომპანიას დარჩენილი, დამატებითი რისკების ასაღებად. რისკის აპეტიტი არის ერთგვარი გზამკვლევი ბანკის ყველა დონის მენეჯმენტისთვის, წინასწარ დადგენილი რისკის მართვის სტრატეგიის მისაღწევად.

რისკის მართვის სტრატეგია გამოიხატება შემუშავებულ ლიმიტებში, რაც მენეჯერებს საშუალებას აძლევს გააანალიზონ და შეფასონ თითოეული გადაწყვეტილების შესაბამისობა რისკის აღების დასაშვებ ზღვართან.

რისკის აპეტიტი ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, როგორებიცაა: მენეჯმენტი, აქციონერები, თანამშრომლები, რეიტინგული სააგენტოები, მარეგულირებელი ორგანოები და სხვები, იმაში, რომ შეაფასონ კომპანიის მიერ ამჟამად აღებული რისკის დონე და განსაზღვრონ სავარაუდო მომავალი ქმედებები.

რისკ აპეტიტი იძლევა გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, იმაზე, თუ რა მოცულობის რისკი შეიძლება აიღოს ბანკმა კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაციის მიზნებისთვის და ასევე არის რისკის მონიტორინგის თვალსაჩინო მაჩვენებელი, რათა შემუშავდეს სათანადო ქმედებები რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის მიღწევის ან დარღვევის შემთხვევებში. ის ასევე მინიმუმამდე ამცირებს „სიურპრიზების“ მოსალოდნელობას, როდესაც ადგილი აქვს უარყოფით სარისკო მოვლენებს.

5.2 რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის განმსაზღვრელი ფაქტორები

დასაშვები რისკების ზღვრული ნორმის განსაზღვრისას, მრავალი გარე და შიდა ფაქტორი მიიღება მხედველობაში, როგორებიცაა:

- კრედოს მიმდინარე კაპიტალის მდგომარეობა;
- კრედოს მიმდინარე რისკის პროფილი და ბანკის მენეჯმენტისთვის დაწესებული ზღვრები;
- მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა, სამომავლო მოლოდინები და პროგნოზირება საქართველოსა და რეგიონისთვის;
- კონკურენტული გარემო სექტორში და აქციონერთა მოლოდინი საბანკო სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით;
- დაწესებულების ისტორია და გამოცდილება სხვადასხვა ეკონომიკურ და კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეგულაციები კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებით;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ზღვრული მინიმალური ოდენობები;

- შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი (ICAAP), რაც ბანკებისგან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველწლიურად მოითხოვება.

5.3 რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის გაცხადება

ბანკი დარწმუნებულია იმაში, რომ დაინტერესებული მხარეები კარგად არიან ინფორმირებულნი რისკის ზღვრულად დასაშვები ნორმასთან დაკავშირებით. იგი პირდაპირ არის დაკავშირებული ბანკის სტრატეგიასთან და ბიზნეს მოდელთან, მოიცავს ბანკის მატერიალურ რისკებს როგორც ნორმალურ, ისე დამაბულ საბაზრო და მაკროეკონომიკურ პირობებში და განსაზღვრავს მკაფიო ზღვრებსა და მოლოდინებს რაოდენობრივი ზღვრების დაწესებისა და ხარისხობრივი განცხადებების მეშვეობით იმ რისკებზე, რომელიც რთულად გაზომვადი და შესაფასებელია. კრედო განსაზღვრავს ბანკის მასშტაბით რისკ-აპეტიტს და იყენებს ზღვრულად დასაშვებ ნორმების კომპლექსს იმ საერთო განწყობის შესაქმნელად, რაც აქვს ბანკს რისკის აღებასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებაში არსებობს რამდენიმე ქვე-ზღვარი, ისინი მაინც არ ითვლებიან რისკ-აპეტიტის ნაწილად, არამედ უფრო მენეჯერული ინსტრუმენტია, რომელსაც იყენებენ პროდუქტების, სეგმენტების, ქვე-სექტორების და ა.შ შესამოწმებლად რისკის ზღვრების მთლიანი კომპლექსის გამოყენებით. რისკის ზღვრულად დასაშვები ნორმის განცხადების ძირითადი ელემენტებია, რომ:

- იგი დაკავშირებულია ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ, კაპიტალისა და ფინანსურ გეგმებთან, ისევე როგორც ანაზღაურების პროგრამებთან;
- იგი ადგენს რისკის მოცულობას, რომლის მიღებაც ბანკს შეუძლია, მისი სტრატეგიული მიზნებისა და ბიზნეს გეგმის მიხედვით; მომხმარებლების, თანამშრომლების, ზედამხედველების, აქციონერებისა და ბიზნეს პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით, ისევე როგორც კაპიტალისა და მარეგულირებლის სხვა მოთხოვნების მიხედვით.
- იგი მთავარი რისკებისთვის განსაზღვრავს რისკის იმ მაქსიმალურ დონეს, რომლის პირობებშიც ბანკი მზადაა იფუნქციონიროს რისკის აპეტიტისა და პროფილის ფარგლებში;
- იგი ითვალისწინებს რაოდენობრივ საზომებს, რომელთა გარდაქმნა შესაძლებელია რისკის დასაშვებ ზღვრულ ნორმად;
- იგი ექვემდებარება სტრეს-ტესტებს გამძლეობაზე, რათა ბანკმა გააცნობიეროს, თუ რა მოვლენებმა შეიძლება უზიბგოს ბანკს რისკის ზღვრულად დასაშვები ნორმის გადაცდენისკენ;
- იგი უზრუნველყოფს, რომ თითოეული ბიზნეს მიმართულების სტრატეგია და ქვე-ზღვარი თანხვედრაში იყოს ბანკის ერთიან რისკის აპეტიტის განცხადებასთან.

რისკ-აპეტიტის მიზნებისთვის, რისკის ზღვრები წარმოადგენს ბანკის მთლიანი რისკის ზღვრულად დასაშვები ნორმის განაწილებას სპეციფიკური რისკის კატეგორიების, კონცენტრაციების და სხვა დონეების მიხედვით. რისკის ზღვრების ეფექტური მონიტორინგისა და ანგარიშგების ხელშეწყობისათვის, კრედო იყენებს განსაკუთრებულ დაშვებებს, რომლებიც არის

გაზომვადი, სიხშირეზე დაფუძნებული და მათ შესახებ შესაძლებელია მოხსენების გაკეთება. შეფასებადი რისკის დონეების არსებობა კრედოს ეხმარება აღკვეთოს რისკის ზღვრების უნებლიე დარღვევა ბაზრის პირობების ცვლილების ფონზე და იყოს ეფექტური მუხრუჭი გადამეტებული რისკის აღების წინააღმდეგ.

რისკის ზღვრები:

- დაფიქსირებულია ისეთ დონეზე, რომელიც ზღუდავს რისკის აღებას რისკ-აპეტიტის ფარგლებში, იმ მაჩვენებელზე დაყრდნობით, რომელიც მიღებულია მომხმარებლებისა და აქციონერების ინტერესებზე დაყრდნობით, ასევე კაპიტალის საზედამხედველო მოთხოვნების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რისკის ზღვარი დაირღვევა და ალბათობა მატერიალური რისკის არსებობისა გახდება რეალური;
- გამოიხატება კაპიტალის, ლიკვიდურობის, საკრედიტო რისკის და სხვა სათანადო საზომების მიხედვით;
- გამოიყენება მატერიალური რისკის კონცენტრაციების შესაფასებლად ბანკის დონეზე;
- არ ეფუძნება მსგავს ბანკებთან შედარებას, არ არის წინააღმდეგობაში მარეგულირებელ ზღვრებთან, არ არის კომპლექსური, ორაზროვანი, სუბიექტური და მონიტორინგი მიმდინარეობს რეგულარულად.

კრედოსთვის მთავარ რისკს წარმოადგენს საკრედიტო რისკები. საკრედიტო რისკის დასაშვები ზღვრული ნორმა განისაზღვრება დაწესებულების საკრედიტო ოპერაციებთან მიმართებაში. იგი ჩამოყალიბებულია რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის განცხადებაში და ემთხვევა კრედოს პოლიტიკას:

- მომგებიანობა კომპანიის ძირითადი ამოცანაა, მაგრამ საკრედიტო სტანდარტები არ უნდა უგულვებლევყოთ საოპერაციო მოგების მიზნებისთვის. ყველაზე პრიორიტეტულია დაბალანსებული და მაღალი ხარისხის საკრედიტო პორტფელის ქონა;
- თანხის გასესხება ისეთი ტიპის ბიზნესზე, რომელიც კლასიფიცირდება აკრძალულად, არ უნდა განიხილოს ან ნებისმიერი ასეთი გამონაკლისი განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს;
- უზრუნველყოფის გარეშე გაცემული დაკრედიტება გაგრძელდება სხვადასხვა სეგმენტში, კონკრეტული მომხმარებლის სეგმენტის გათვალისწინებით, მაგრამ ბანკი ყურდამებით გააკონტროლებს მის წილს საერთო საკრედიტო პორტფელში;
- სექტორული კონცენტრაციები სესხის პორტფელში მნიშვნელოვან სფეროდ რჩება და მენეჯმენტი გამოიყენებს კონკრეტული რისკების ზღვრის დონეებს ამ რისკების სამართავად;
- სავალუტო კონცენტრაციები მნიშვნელოვანი ფოკუსირების სფეროა და მენეჯმენტი გამოიყენებს კონკრეტული რისკების ზღვრის დონეებს ამ რისკების სამართავად.

ბანკი ასევე იყენებს აგრეგირებულ ლიმიტებს სხვა რისკებზე, როგორებიცაა საბაზრო (კერძოდ FX რისკი) და ლიკვიდურობის რისკი.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები რისკის დასაშვებ ზღვრულ ნორმაში

სამეთვალყურეო საბჭო:

- ამტკიცებს ბანკის რისკის აპეტიტის სტრუქტურას (RAF) და უზრუნველყოფს, რომ იგი თანხვედრაში იყოს ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიებთან, ბიზნეს და კაპიტალის გეგმებთან, რისკის დასაშვებ დონესთან და ასევე ანაზღაურების პროგრამებთან;
- ანგარიშვალდებულებას ანიჭებს გენერალურ დირექტორს და აღმასრულებელ მენეჯმენტს RAF-ის ინტეგრირებაზე, რაც გულისხმობს რისკზე დაწესებული ზღვრებისა და მატერიალური რისკების მოცულობის დარღვევის დროულ აღმოჩენას, მენეჯმენტსა და ესკალაციას;
- უზრუნველყოფს რომ ყოველწლიური ბიზნეს გეგმა შესაბამისობაში იყოს რისკის აპეტიტთან და ანაზღაურების სქემა ითვალისწინებდეს წახალისებას/სანქციებს რისკის აპეტიტის მითითებების დაცვისათვის;
- ითვალისწინებს რისკის ზღვრულად დასაშვები ნორმების შეფასებას სტრატეგიულ დისკუსიებში ბიზნეს მიმართულებებისა თუ პროდუქტების ზრდის მიმართულებით;
- რეგულარულად განიხილავს და ამოწმებს ფაქტობრივ რისკის ზღვრებს დამტკიცებულთან მიმართებაში;
- განიხილავს და განსაზღვრავს განსახორციელებელ ქმედებებს რისკის დადგენილი ზღვრების „დარღვევების“ არსებობის შემთხვევაში.
- საჭიროების შემთხვევაში იყენებს დამოუკიდებელ შეფასებას RAF-ის დიზაინთან, ეფექტურობასთან და სამეთვალყურეო საბჭოს მოლოდინებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს სათანადო მექანიზმების არსებობას აღმასრულებელი მენეჯმენტის კონტროლისთვის. რომ შემოწმდეს რამდენად ოპერატიულად მოქმედებს მენეჯმენტი იმისათვის, რომ ეფექტურად მართოს და სადაც აუცილებელია, შეამციროს რისკის უარყოფითი მატერიალური შედეგები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ახლოსაა ან აჭარბებს რისკის დამტკიცებულ დასაშვებ ზღვრულ ნორმას და რისკის ზღვრებს;
- უზრუნველყოფს, რომ რისკის მართვაზე დაიხარჯოს ადეკვატური რესურსები და ექსპერტიზა, ასევე უზრუნველყოფს ეფექტური შიდა აუდიტის ჩატარებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის და აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ფუნქციონირებენ დამტკიცებული RAF-ის შესაბამისად;
- უზრუნველყოფს, რომ რისკის მართვაში გამოიყენებოდეს სათანადო ინფორმაციული ტექნოლოგიები და MIS-ის სისტემები, იმისათვის, რომ შესძლებელი იყოს რისკების დროული და ზუსტი იდენტიფიკაცია, შეფასება, გაზომვა და ანგარიშგება.

დირექტორთა საბჭო:

- განიხილავს და სთავაზობს ბანკისთვის რისკის დასაშვებ ზღვრულ ნორმას, რომელიც შეესაბამება ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიას, ბიზნესსა და კაპიტალის

გეგმებს, რისკის დასაშვებ დონეს, ასევე ანაზღაურების პროგრამებს და უსაბამებს მათ სამეთვალყურეო საბჭოს მოლოდინებს;

- ანგარიშვალდებულია RAF-ის, მათ შორის, დაწესებული ლიმიტებისა და მატერიალური რისკების მოსალოდნელი გადაცდენების დროულ ინდეტიფიცირებასა და ესკალაციაზე;
- უზრუნველყოფს, რომ რისკის ლიმიტები რისკ-აპეტიტზე დაყრდნობითაა შედგენილი და გამოიყენება ბანკის სტრატეგიულ და ფინანსურ დაგეგმარებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში;
- უზრუნველყოფს, რომ ბანკის საყოველთაო რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის შესახებ განცხადებას პრაქტიკაში ასრულებს უმაღლესი მენეჯმენტი, რისკის აპეტიტის შესახებ თანმიმდევრული განცხადების ან ბიზნეს მიმართულებებისთვის ინდივიდუალურად დაწესებული რისკის ლიმიტების დადგენით;
- უძღვება რისკის აპეტიტის შესახებ ინფორმაციის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდების საკითხს;
- ჰქმნის სანიმუშო მაგალითს შესაბამისი მართვის განყოფილებებისა და დეპარტამენტების გაძლიერებითა და მხარდაჭერით, და ეფექტურად ანაწილებს რისკის დასაშვები ნორმას მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ბიზნეს მიმართულებას ჰქონდეს შემუშავებული სათანადო პროცესები ყოველდღიურ რეჟიმში რისკის პროფილის იდენტიფიცირების, გაზომვისა და კონტროლისთვის, დაწესებულ ზღვრებთან მიმართებაში.
- გამოჰყოფს საკმარის რესურსებს და ექსპერტიზას რისკის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისთვის, ეფექტური ზედამხედველობისა და RAF-ის წესების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად;
- აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილი რისკის ლიმიტების სერიოზული დარღვევებისა და მოულოდნელი მატერიალური რისკის შესაძლებლობის შესახებ.

რისკის კომიტეტები:

- ზედამხედველობენ ბანკის პროცესებსა და პოლიტიკებს რისკების მიმართ მედეგობის დადგენის მიზნით; განიხილავენ მენეჯმენტის შეფასებას და რისკების მიმართ მედეგობის შედარებას დაწესებულ დონეებთან;
- აღმასრულებელი მენეჯმენტისა და რისკების განყოფილებებისგან იღებს რეგულარულ ანგარიშებს რისკის იმ კატეგორიების შესახებ, რომლებთანაც ბანკს უწევს გამკლავება, თითოეული რისკის კატეგორიის წილობრივ განაწილებაზე, აღნიშნულ რისკის კატეგორიებში მნიშვნელოვან კონცენტრაციებზე, რისკების მონიტორინგის დროს გამოყენებულ მატრიცებზე და მენეჯმენტის შეხედულებაზე, აღნიშნული რისკების მისაღებ და დასაშვებ დონეებთან დაკავშირებით;
- განიხილავს RAF-ის და RAS-ის ადეკვატურობას.

რისკების მართვის განყოფილება:

- ხელს უწყობს რისკების ზღვრულად დასაშვები ნორმების განვითარებას, რომელიც შეესაბამება ბანკის საჭიროებებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ზედამხედველი ორგანოების მოლოდინებს;
- რეგულარულად ახარებს ანგარიშებს რისკის კომიტეტს და დირექტორთა საბჭოს ბანკის რისკის პროფილის შესახებ რისკ-აპეტიტთან მიმართებაში;
- აქტიურად ახორციელებს ბანკის რისკის პროფილის მონიტორინგს რისკის აპეტიტთან, სტრატეგიასთან, საოპერაციო და კაპიტალის გეგმებთან და რისკის დასაშვებ ლიმიტებთან მიმართებაში;
- აყალიბებს რისკის ანგარიშების პროცესს;
- აყალიბებს რისკის სათანადო ზღვრებს (დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთან თანამშრომლობით), რომლებიც არის წინასწარ განჭვრეტილი და შეესაბამება ბანკის რისკ-აპეტიტს;
- მოქმედებს ოპერატიულად იმისათვის, რომ უზრუნველყოს ეფექტური მართვა, და საჭიროების შემთხვევაში იმ მატერიალური რისკების მიტიგაცია, რომლებიც ახლოსაა ან აჭარბებს დამტკიცებულ რისკის დასაშვებ ზღვრულ ნორმას და/ან რისკის ზღვრებს;
- დაუყოვნებლივ აცნობებს რისკის კომიტეტსა და დირექტორთა საბჭოს მატერიალური რისკის ზღვრის ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებელია სერიოზულ საფრთხეში ჩააგდოს ბანკის ფინანსური მდგომარეობა, კაპიტალი და ლიკვიდურობა.

ბიზნეს ხაზები (განყოფილებები):

- უზრუნველყოფენ შესაბამისობას დამტკიცებულ რისკის დასაშვებ ნორმებსა და ბიზნეს განყოფილებების დაგეგმარების, ანაზღაურების და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს შორის;
- ითვალისწინებენ რისკის დასაშვები ზღვრული ნორმის შესახებ განცხადებასა და დადგენილ ლიმიტებს თავიანთ საქმიანობასა და რისკის ყოველდღიურ მართვაში, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას წინდახედულობა რისკის ალებისას და ადეკვატური რისკის კულტურა;
- აქტიურად ახორციელებენ ნებისმიერი დამტკიცებული რისკის ზღვრებთან შესაბამისობის მონიტორინგს;
- თანამშრომლობენ რისკების განყოფილებებთან, რომლებიც არ ერევიან მის დამოუკიდებელ მოვალეობებში;
- შეიმუშავენ მკონტროლებელ საშუალებებსა და პროცესებს რისკის ზღვრების ეფექტური იდენტიფიკაციის, მონიტორინგისა და ანგარიშებისთვის;

შიდა აუდიტი

- დამოუკიდებლად აფასებს RAF-ის სიზუსტესა და ეფექტურობას და მის შესაბამისობას სამეთვალყურეო საბჭოს მოლოდინებთან;
- ახდენს იდენტიფიცირებას, არის თუ არა დადგენილი რისკის ზღვრების დარღვევები სათანადოდ გამოვლენილი, ესკალირებული და დარეპორტებული; და სათანადო ფორმით აწარმოებს ამ ფაქტების ანგარიშგებას აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოსთან.

6. ანაზღაურების საკითხები

ანაზღაურება ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე საკითხია ორგანიზაციის ადამიანური რესურსების პოლიტიკაში. პერსონალისთვის ხელფასებისა და სხვა სარგებლების დადგენა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბანკის საოპერაციო დანახარჯებზე, არამედ აისახება კადრების მოტივაციაზე, შიდა სამუშაო ურთიერთობებსა და დაქირავებულთა მიდრეკილებაზე თაღლითობისაკენ.

კრედიო ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სამუშაოს შეფასება ემყარება როგორც თანამშრომლის ინდივიდუალურ სამუშაოს შესრულებას, ასევე HAY სახელმძღვანელო სქემის პროფილის მეთოდოლოგიას. თითოეული პოზიციისთვის განისაზღვრება სამუშაო რანგი და სახელფასო შკალა, მინიმალური და მაქსიმალური ანაზღაურების დონეებით;
- სახელფასო მატრიცა შედგენილია ეროვნულ ვალუტაში, ქართული საფინანსო ბაზრის ანაზღაურების მონაცემებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტული სახელფასო დონეები;
- ხელფასების ზრდა თითოეული პოზიციისთვის განისაზღვრება სახელფასო მატრიცით და ეფუძნება შესრულებული სამუშაოს ხარისხს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას სათანადო კომპენსაციაში;
- სამუშაოს რანგირების სისტემას ეფუძნება თანამშრომელთა სარგებლების გაცემის პროგრამები: თითოეული თანამშრომლის სარგებელი დაკავშირებულია მისი პოზიციის სამუშაო რანგთან და არა კერძოდ თანამშრომელთან, რაც უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

ხელფასისა და თანამშრომლების სარგებლების მართვის პროცედურები ნათლად განსაზღვრულია და ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის.

ბანკის ადმინისტრატორების შერჩევა და აყვანა

ბანკის ადმინისტრატორები შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისთვის უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- 47 - პილარ 3 წლიური ანგარიშგება 2020 /**სს კრედიო ბანკი**

- უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროებიდან ერთ-ერთში: ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნეს ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, სამართალი და სამართლებრივი კვლევები და ა.შ;
- დირექტორატის წევრს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 4 წლიანი სამუშაო გამოცდილება ფინანსურ სექტორში, მათ შორის მინიმუმ 2 წელი მენეჯერულ პოზიციაზე;
- სერვისცენტრის მმართველს უნდა ჰქონდეს საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 1 წლის სტაჟი.
- უფროსი მენეჯმენტის გუნდის წევრი არ უნდა იყოს უფროსი მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის I და II რიგის მემკვიდრე.
- არ უნდა ჰქონდეს -შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება, რომელიმე ფინანსურ დაწესებულებაში;
- არ უნდა იყოს ბრალდებული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში;

ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს/იყვანს დირექტორთა საბჭოს წევრებს. ხოლო სხვა ადმინისტრატორებს თანამდებობაზე ამტკიცებს დირექტორთა საბჭო/გენერალური დირექტორი.